# გრიგალი

თფილისი

პარასკევი, 22 (5) სექტემბერი.

1906

წელიწადი პირველი

ცალკე ნომერი 5 კაპ.


თფილისში ყუმბარით მძიმეთ დასჭრეს ცემნიკოვი. მოკლეს აფიცერი იმნაძე.—სამხ.-საველე სასამართლოს დადგენილებით დახვრიტეს: ქ. კელცში სამი კაცი, ქ. ხერსონში 7 კაცი, მიტავაში ორი, პეტერბურგში გენ. კოზლოვის მკვლელი.—პეტერბურგში ჩუმბარების მრავალი ლაბორატორია აღმოუჩენიათ.—თავხედური თავდასხმა პეტერბურგში.—სუხუმს ახლო გაუძარცვავთ გემი.—გუჩკოვს უარი განუცხადებია „ჩვიდმეტ ოქტ. კავშირის“ თავმჯდომარეობაზე.—მოსკოვის გრადონაჩალნიკი უნივერსიტეტს დაკეტვას ემუქრება.


№ 11 ყ ო ვ ე ლ - დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი. № 11



8 სექტემბრიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„გრიგალი“

ხელის-მოწერა მიიღება **მხოლოდ რედაქციის კანტორაში**—კრასნოგორის ქუჩაზე, სახლი № 3—დილის 10—2 საათ., საღამოს 5—7 საათ. კვირა უქმე დღეებში კი 10—12 საათამდე.

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით—ქალაქში 75 კ., პროვინციაში—90 კ., წლის ბოლომდის 2 მ. 50 კ.

რედაქცია დაუბეჭდავ წერილებს არ ინახავს, თუ ავტორი განსაკუთრებით ამას არ ითხოვს; წერილობითი პასუხისათვის საჭიროა 7 კაპ. მარკა.

დაუბეჭდავი წერილების და სხვა სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის 11—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ., კვირა-უქმეობით 11—12 საათ.

განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., მეოთხე გვერდზე სტრიქონი 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ГРИГАЛИ“.

24 სექტემბრიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მეგობარი“

გაზეთის ფასი ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით 75 კაპ. 24 სექტემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მან. თვიურათ ხელის მოწერა შეიძლება ყოველი თვის პირველ რიცხვიდან. ცალკე ნომერი ყოველგან ერთი შაური.

რედაქციის ადრესი: ელისაბედის ქუჩა, სახლი მილოვისა, № 1.

კანტორის ადრესი: ნიკოლ. ქუჩა, სახლი მილოვისა, № 6, (სტამბა „იდეალი“).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, елизаветинская ул., д. Милова, № 1, редакція „Мегобари“.

მისაღები ეგზამენები **ახლად გახსნილ ქალების ქართულ სასწავლებელში** მოსამზადებელ განყოფილებებში დაიწყება 27 სექტემბრიდან. სასწავლებლის ბინაზე, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა № 7. (3—1)

კბილის ექიმი ივ. ახალშენიშვილი

იღებს ავათმყოფებს: დილის 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—12. ნიკოლოზის ქ. № 14.

პირველ სექტემბრიდან ამ წლისა წინამძღვარიანთ-კარის **სამეურნეო სასწავლებელში** მიიღებიან არა ნაკლებ თოთხმეტი წლისა ჯანმრთელნი მოსწავლენი. მოსწავლეთ უნდა ქონდეთ ცოდნა ოთხი კლასის სასოფლო დაწყებისის სკოლისა. მოსწავლენი გარედან მოსიარულენი არიან. სწავლა სამის წლის განმავლობაში უსასყიდლოთ მიეცემათ. სკოლას პანსიონი არა აქვს. ს. წინამძღვარიანთ კარში კერძო პირი იყვანს თავის სახლში მოსწავლეთ, რვა მანეთათ თვეში. შენახვის მთელი წლის ფასს წინათ ღებულობს; ხოლო მოსწავლეთ თავის საკუთარი ტანთ-საცმელი მთელი წლის განმავლობაში და ქვეშაგები თავისი უნდა ქონდეთ.

პირველ ოთხ-კლასიან სკოლაში, გახსნილ ს. წინამძღვარიანთ-კარში, მიიღებიან მოსწავლენი არა ნაკლებ ათის წლისა. ისინიც გარედან მოსიარულენი იქნებიან და სწავლა უსასყიდლოთ მიეცემათ.

მზრუნველი და დამაარსებელი სკოლის **წინამძღვრიშვილი**


## დღევანდელი მომენტი.

I

არასოდეს რუსეთის რევოლიუციას არ ქონია ისეთი სერიოზული მომენტი, როგორიც აქვს დღეს; არასოდეს მთავრობასა და საზოგადოების შორის ისე ღრმა და გაუვალი ორმო არ ამოთხრილა, როგორც დღეს. მხოლოდ ოქტომბრის გაფიცვებში თუ ემჩნეოდა საზოგადოებას ასეთი ერთსულოვნობა, თორემ სხვა დროს ასეთი მომენტი არ გამეორებულა. დღეს ამ მხრით მეორე ოქტომბრის დღეები იწყება, მეორეთ მთელი რუსეთი ბიუროკრატიულ მთავრობას უპირდაპირდება, და პირისპირ დამდგარი ყველა ძარღვებ დაჭიმული ელის, როდის მოტყდება მძვინვარე რეაქციის კისერი, როდის გაწყდება ბიუროკრატიულ მექანიზმის უკანასკნელი ძაფი და ტანჯულ ხალხს თავისუფლათ ამოსუნთქვის შეძლებას მისცემს. მთავრობის მექანიზმი კი გამოლებული მუშაობს, დაჟანგებული თვლები ხრიალებენ და სისხლით რწყავენ მთელ რუსეთს; მთელი რუსეთი სამხედრო ველათაა გადაქცეული და მთავრობის მთელი მექანიზმი ადამიანთა ამოსაჟლეტ მანქანათ. კატორღა და ციხე სახრჩობელით და დახვრეტით შეცვალა, ზანტი ბიუროკრატიული სასამართლოები უფრო სწრაფათ მომუშავე დამსჯელ ფაბრიკათ—სამხედრო-საველე სასამართლოებით. დღე ერთია და სასჯელი ასი!

მარა განა ამით განელდება რევოლიუციის ალი? შეჩერდება ბრძოლა და ყველაფერი ძველ კალაპოტს დაუბრუნდება? რასაკვირველია, არა. პირიქით, ეს უფრო ამწვავებს საქმის მდგომარეობას, ეს ერთი ათათ ზრდის ხალხის სიძულვილს მთავრობისადმი და თავისუფლების სიყვარულს უმტკიცებს. დუმის გარეკამ და მთელი რუსეთის სამხედრო მდგომარეობაში ჩაგდებამ არა თუ ვერ დაამშვიდა ქვეყანა, ვერ შეაშინა აბობოქრებული გლეხკაცობა, პირიქით კიდევ უფრო აამოძრავა. ისინი მაინც გადაჭრით უარს ამბობენ მთავრობის მორჩილებაზე, აღარ ცნობენ მას და არ აძლევენ არც ფულს, არც სალდათს. მოგვეცი ხალხის წარმომადგენლობა—რათ დაითხოვე ჩვენი არჩეული პირები, მათ გადაუწყვეტლათ ვერაფერს მიიღებთო, ეუბნება რუსეთის გლეხკაცობა მთავრობის მოხელეთ და უკან ისტუმრებს. ცხადია მთავრობას ერთათ ერთი გზა დარჩენია, სამხედრო ძალის მოხმარა, თავის ქვეყნის ხელ-ახლა დაპყრობა და ის მართლაც ასე იქცევა, სოფელი და ქალაქი დამსჯელ ექსპედიციებით აივსო, ყველგან ეგზეკუცია, რაზმები და სტრაჟნიკები იგზავნებიან ხალხის დასამორჩილებლათ, გადასახადების მოსაბოქათ.

ასეა კავკასიაში, ასეა მთელ რუსეთში, არაა არც ერთი კუთხე, არც ერთი მივარდნილი კუნჭული რუსეთის იმპერიაში, სადაც ხალხს უარი არ ეთქვას მთავრობის მორჩილებაზე. ყველგან მოსძულდა მთავრობა ხალხს და მთავრობამაც მოიძულა ის. რუსეთის ყოველ დღიური გაზეთები სავსეა ამბებით სოფლებში რაზმების „მოღვაწეობის“ შესახებ: შეტაკება გლეხებთან, დახოცვა, დატუსაღება, სამხედრო-საველე სამსჯავროში მიცემა—აი მათი საზოგადო შინაარსი. მარა მთავრობა მარტო ხალხის აწიოკებასაც არ სჯერდება, მან აშკარათ ხელი კრა და თავიდან ჩამოიშორა ყველა ოპოზიციონური ელემენტები, კადეტების პარტია არალეგალურ მდგომარეობაში ჩააგდო და ამით იძულებული გახადა რევოლიუციონერთ მიმხრობოდა.

ამნაირათ, დღეს ერთი მხრით დგას მთელი რუსეთი, გარდა ხულიგან-პროვოკატორებისა, მეორე მხრით მთავრობა თავის ჯარით, პოლიციით და ჟანდარმებით და მათ შორის ყოველი შემაერთებელი ხიდი ჩატეხილია. მთავრობა მთელ საზოგადოებას ეომება, მთელი საზოგადოების დამორჩილებას ცდილობს, მარა ეს შეუძლებელია და ამაშია მისი მდგომარეობის უნიადაგობა; ყველა მისი ზომები და სისასტიკე მხოლოდ სისხლის მორევი აყენებს ხალხს უარესათ აბოროტებს, მიზანს კი ოდნავათაც ვერ აღწევს. აშკარაა, მისი აღსასრული მოახლოვებულია, აშკარაა, მალე უნდა მოეღოს ბოლო მის არსებობას და ჩვენი ვალია ხელი შევუწყოთ ამის დაჩქარებას. არასოდეს საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება, მთელი პოლიტიკური მდგომარეობა არ ყოფილა ისეთი სასარგებლო რევოლიუციისათვის, როგორც დღეს; მთავრობამ თვითონ გაანცალკევა თავის თავი, თვითონვე ჩამოიშორა ისინი, ვინც დეკემბერში მოუპოვა მას გამარჯვება. და ჩვენი ვალია ვისარგებლოთ ამ მდგომარეობით.

**რაჟდენიძე.**

## „წითელი კვირა“ მანჰეიმში

(პარტეიტაგზე საგანგებოთ გაგზავნილ კორესპონდენტის წერილები).

მანჰეიმი, 10 სექტემბერი.

I

რომ მკითხველმა ამ სათაურს ჩვენებური „წითელი პარასკევის“ მნიშვნელობა არ მიაწეროს, ვიჩქარი განვმარტო, რომ „წითელი კვირის“ სახელით აქაური ბურჟუაზიული პარტიები ნათლავენ იმ ერთ კვირას, რომლის განმავლობაში გერმანიის სოციალდემოკრატია თავის პარტეიტაგს (კონგრესს) მართავს ხოლმე. წრევანდელ „წითელ კვირას“ გულის ფანცქალით მოელოდენ როგორც მოყვარენი, ისე მტერნი. და ისიც დადგა დღეს 23/10 ენკენისთვეს და გრძელდება 29/16-მდე.

მანჰეიმი, ბადენის უმთავრესი სამრეწველო და სავაჭრო ქალაქი, ფრიად საინტერესო სურათს წარმოადგენს დღეს. უმთავრესი ქუჩები სადგურიდან დაწყებული სავსეა მუშებით, რომელთა გამოცნობა ადვილია წითელ გალსტუკებით და გულის ნიშნებით. ყოველ ნაბიჯზე გესმის »Lieber Genosse!« (საყვარელო ამხანაგო!) და გულწრფელი სალამი, თითქოს აღდგომის პირველი დილა იყოს. და განა ხუცების აღდგომა შეედრება დღევანდელ დღესასწაულს მანჰეიმში? სრულიადაც არა. მანჰეიმის მუშები სიხარულით ცასა წვდებიან, რომ მათ ეწვევიან დღეს გერმანიის ყოველ კუთხიდან სოციალდემოკრატიულ პარტიის უმთავრესი მოღვაწენი. ისინი თავგამოდებული დიდ გაწა-მაწიაში არიან, რომ სტუმრების წინ არ შერცხვენ. დელეგატი ვერ ასწრებს მატარებლიდან ფეხის ჩამოდგმას, რომ მას მიესევიან წითელ-გალსტუკიანები, ჩემოდნებს და პორთფელებს ხელიდან აცლიან და დიდის ზეიმით მიაცილებენ ადრევე დაქირავებულ სასტუმროში. ბურჟუები სრულებით არა ჩანან, არც პოლიცია. ილიუზიას ეძლევი, როცა ხედავ მუშების ამოტელა გროვას: პირველ შეხედვით კიდეც გიკვირს, რომ მანჰეიმში კაპიტალიზმია გამეფებული და არა სოციალიზმი!

პარტეიტაგი იხსნება ამ საღამოს და ამიტომ მეც არა ვჩქარობ მასზე ბაასს. ახლანდელი ჩემი საგანი სულ სხვაა. საზოგადოთ მიღებულია გერმანიის სოციალდემოკრატიაში, რომ იმ ქალაქში და იმ დროს, სადაც და როცა პარტეიტაგი იმართება, ამხანაგები მართვენ ბევრ სხვადასხვა კრებებს და კონფერენციებს. წრევანდელი პარტეიტაგის დიდ მნიშვნელობას, სხვათა შორის ის მოწმობს, რომ მას წინ მიუძღვის გერმანიის სოციალდემოკრატ-ქალთა მე-4-ე კონფერენცია და თავდება გერმანიის მოზარდ მუშების კავშირის გენერალურ კრებით.

მე დავიწყებ, მაშასადამე, ქალების კონფერენციიდან, რომელიც ეს ესაა (6 ს. სღ.) დასრულდა და რომელიც გუშინ დილას ($^{22}/_{10}$) გაიხსნა. სადღესასწაულოთ მორთული დიდი დარბაზი სულ გაჭედილი იყო. დელეგატ ქალთა რიცხვი 50 აღემატებოდა. იქით-აქეთ გვერდში ისხდნენ უცხო სახელმწიფოებიდან მოსული სტუმრები, აგრეთვე რეიხსტაგის და ბადენის ლანდტაგის დეპუტატები. კრებამ ერთხმათ აირჩია თავმჯდომარეებათ კლარა ცეტკინი და ზიცი. როგორც კი გამოჩნდა ტრიბუნაზე ცეტკინი, აღტაცებულ ტაშის ცემას ბოლო არ უჩანდა. იმის გარდა, რომ ცეტკინი ფრიად ცნობილი მოღვაწეა პარტიაში, ამის ასე მხურვალეთ მიღების მიზეზი იყო ის გარემოება, რომ იგი სულ ცოტა ხანია, რაც უკეთ გახდა თვალების საშინელი ავათმყოფობისაგან, რომელიც დაბრმავებას უქადდა მას.

მაგრამ დამსწრეთა აღფრთოვანებამ მაშინ მიაღწია გაცილებით უმაღლეს ხარისხს, როცა კრებას წარუდგა წინ რუსეთის ს.-დ. წარმომადგენელი. მან სალამი უძღვნა კრებას პარტიის სახელით და წარმოთქვა აღგზნებული სიტყვა. „თქვენს ზნეობრივ და ქონებრივ დახმარებას—თქვა მან—რუსეთის რევოლიუციონერები ერთი ორათ გადიხდიან, როცა დესპოტიზმი ძირს იქნება გაზხლართული!“ თითქმის ყოველ წინადადებაზე აჩერებდენ ორატორს გატაცებული პროლეტარები. მათ მაგიერ მიუგო რუსეთის წარმომადგენელს ცეტკინმა, რომელმაც სიტყვა ასე დაასრულა: „თქვენი ბრძოლა არის ჩვენი ბრძოლა, თქვენი გამარჯვება—ჩვენი გამარჯვება!“. გარდა ამისა მხურვალე სალამი უძღვნეს კრებას ს. დ. პარტიის გამგეობის წევრმა და ავსტრიიდან და ჰოლანდიიდან მოსულმა დელეგატებმა. ამის შემდეგ კონფერენცია შეუდგა საკუთარ საქმეებზე სჯა-ბაასს.

ყველაზე წინ კონფერენციას წაუკითხა მოხსენება ბაადერმა პროლეტარ ქალთა მოძრაობის შესახებ გერმანიაში უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გერმანიის უმთავრეს სამეფო-სამთავროებში ქალებს დღესაც არა აქვთ პოლიტიკურათ შეკავშირების უფლება. ამიტომ ისინი იძულებული არიან პოლიციის ჰახრაკების თავიდან ასაცილებლათ თავიანთი საერთო საქმეები ცალკე პირებს მიანდონ საწარმოებლათ. ფაქტიურათ ყველა ისინი მოქმედებენ, რასაკვირველია, ოფიციალურათ კი საქმის მმართველებათ კერძო პირები არიან გამოცხადებული. ამათ ეწოდებათ „სანდო პირები“ და გაფანტული არიან გერმანიის ყველა კუთხეებში. სახელმწიფოს პროლეტარ ქალთა მთელ მოძრაობას კი ხელმძღვანელობას უწევს ერთი „სანდო პირი“, რომელსაც ყოველ ორ წელში ირჩევს კონფერენცია. ეგ პირი გამგეობის ფუნქციებს ასრულებს და ამიტომ მოვალეა ანგარიში წარუდგინოს კონფერენციას. სწორეთ ერთ ჩემ წინანდელ წერილში მე კიდეც მოვიხსენიე, რომ ეგ ანგარიში დიდი ხანია დაბეჭდილი გამოვიდა ს. დ. გამგეობის და რეიხსტაგის ფრაქციის ანგარიშებთან ერთათ. აი, ამ ვრცელი ანგარიშის გასამარტებლათ ბაადერმა წაიკითხა მოხსენება.

დაახლოვებითაც შეუძლებელია ბაადერის ფრიად შინაარსიან მოხსენების ჯეროვნათ განმეორება. მე მოვიხსენიებ მხოლოდ ზოგად ადგილებს. ბაადერმა განაცხადა, რომ გერმანიის სოციალდემოკრატ ქალების რაოდენობის განსაზღვრა შეუძლებელია; მიუხედავათ ამისა, მათი რიცხვი გასამკეცდა 1904 წ. აქეთ. ერთი საუკეთესო საბუთი ქალების გამოღვიძებისა ისაა, რომ ქალთა გაზეთი „თანასწორობა“, რომელიც გამოდის შტუტგარდტში ცეტკინის რედაქტორობით, 46 ათასი ცალი იბეჭდება დღეს, მაშინ, როდესაც შარშან მთა-მადნეულობის 250 ათასი მუშის დიდი გაფიცვა მოხდა, ქალები გვერდში უდგენ თავიანთ წამებულ ქმრებს და ამხნევებდენ მსხვილ კაპიტალისტების წინააღმდეგ. ბაადერმა მიაქცია დამსწრეთა ყურადღება კათოლიკეთა პარტიის (ცენტრი) გამათახსირებელ გავლენას ქალების და მათი შვილების გონებაზე. მან აღიარა დამსწრეთა ტაშის ცემის ქვეშ, რომ ამ პარტიის მკვიდრ სამფლობელოშიც გაჩნდენ თავდადებული აგიტატორი ქალები და მრავალი „შავი ადგილები წითლათ შეიღება“. ბაადერმა მოიყვანა მაგალითები, თუ როგორი ბარბაროსობით ეკიდებიან გაბატონებულ კლასების დამქაშები სოციალდემოკრატ ქალებს. უბრალო პროკლამაციის გავრცელების გამო პოლიციას ჯაჭვი ეუბამს ქალისთვის და ისე ყელია დამწყვდეული. „მაგრამ—განაგრძობს ბადერი—ჩვენ მაინც მივაღწევთ თავისუფლებას, თუ-გინდ პოლიცია კაზაკებზე უარესიც გახდეს!“ დასასრულ ბადერმა აღფრთოვანებით მოიხსენია რუსეთის გმირი ქალები და თქვა: „განა რა არი ჩვენი ბრძოლა რუსეთის გმირების ტიტანურ ბრძოლასთან შედარებით? როცა ქალებში ასეთი სასიქადულო გმირები გაერევიან, ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს იმისი, რომ ჩვენი ბრძოლა უნაყოფოა!“

მოხსენების და რამდენიმე წინადადების შესახებ მოკლე კამათის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ქალ. ზიცის ძლიერ ცოცხალი რეფერატი სოფლის მუშა-ქალთა შორის აგიტაციის შესახებ. მან აღწერა, თუ რა ჯოჯოხეთურ მდგომარეობაში იმყოფებიან სოფლის მუშა-ქალები განსაკუთრებით პრუსიის იუნკრების ხელქვეით. სოფლის მუშა-ქალი გაცილებით უფრო დიდ განსაცდელში იმყოფება, ვინემ ქალაქის. სოფელში დღეს კიდევ სუფევს ფეოდალიზმის დროის კანონდება მოჯამაგირეთა შესახებ, რომელიც სოფლის მუშათ ორივე სქესისას დამქ-რავებელის ყურ-მოჭრილ ყმებათ აღიარებს. იგი უკრძალავს მათ შეკავშირებას და კრების გამართვას. მასთან საფაბრიკო კანონდება მათზე არ ვრცელდება. ზიცმა დაუხატა მსმენელთ სოფლის ბალღების ექსპლოატაციის შემზარავი სურათი. „ჩვენმა იუნკრებმა და ხუცებმა—წარმოსთქვა რეფერენტმა—ქრისტეს სიტყვები ბალღების შესახებ უკუაგდეს და მის მაგიერ გაიძახიან—გამოუშვით ბალღები ჩვენსკენ და ნუ უშლით მათ ქარხნის და კარტოფილის თხრას“!

მოკლე დისკუსიის და შესაფერ რეზოლიუციის მიღების შემდეგ ქალ. გრუნბერგმა წაიკითხა მეორე რეფერატი შინ მოსამსახურე ქალების შესახებ: მოჯამაგირის კანონდება ვრცელდება მათზე და ამიტომ მათი მდგომარეობა თვით სოფლის მუშა ქალების მდგომარეობაზე უარესია. რეფერენტის სიტყვით, აგიტატორების წყალობით შინაურ მოსამსახურე ქალების მოძრაობას ძლიერ გაუდგამს ფესვი გერმანიაში. „ჩვენი მოწყალე დამები—ამბობდა გრუნბერგი—სამზარეულოს რევოლიუციაზე შესჩივლებენ ერთმანეთს და სასტიკ ზომებს ღებულობენ, რომ ოჯახში გაამაგრონ პატრიარქალური განყოფილება ბატონ და მონას შორის. შინ მოსამსახურე ქალები მუშაობენ დღეში 18—20 საათს, როგორც ამტკიცებს სტატისტიკა. რეფერენტი მიაქცევს კრების ყურადღებას იმ უმწეო მდგომარეობას, რომელშიც იმყოფება მოსამსახურე ქალი ზნეობრივის მხრივ, მან დაასურათხატა ალები და მათი ვაჟბატონები, რომელნიც არ ჯერდებიან მოსამსახურე ქალების გაყვლეფას და რყვნიან მათ ზნეობრივათ. კრებამ ერთხმათ მიიღო რეფერენტისაგან წარდგენილი რეზოლიუცია, რომელიც თხოულობს შინ მოსამსახურე ქალების სამრეწველო მუშებთან უფლებრივ-ეკონომიურ გათანასწორებას.

**ა. ჩხენკელი.**

(შემდეგი იქნება).

## პოლიტიკური მიმოხილვა

**მთავრობა რუსეთს „იპყრობს“.**

ამ დღეებში შინაგან საქმეთა მინისტრმა ცირკულიარი დაუგზავნა გუბერნატორებს და სახაზინო პალატების გამგეებს, რომელშიაც უბრძანებს, ყოველი ღონისძიება იხმარეთ, რომ მცხოვრებთ სრულათ გადაახდევინოთ გადასახადებიო; ცირკულიარში ნათქვამია, ხალხი გადაეჩვია კანონის მორჩილებას და ეხლა თქვენი საქმეა, მოაგონოთ მას, რომ კანონი უწინდებურათ არსებობს და უწინდებურათ საჭიროა

ხალხი მას ემორჩილებოდესო: „ხალხი უნდა კანონის მორჩილებას შეაჩვიოთ, „ნედოიმშჩიკების“ ჯიუტობა უნდა გატეხოთ ყველა კანონიერ ზომებით, რაც უნდა მკაცრი და სასტიკი იყვნენ იგინი.“

ამ ცირკულიარით გამხნევებული ადმინისტრატორები მხნეთ შეუდგენ „ხალხის დამორჩილებას კანონის წინაშე“, მაგრამ ეს „დამორჩილება“ უფრო ომს, დაპყრობას წააგავს. ყველასაგან უარყოფილს, ყველასაგან შეძულებულ მთავრობას იარაღით უხდება მთელი რუსეთის ნაწილ-ნაწილათ დაპყრობა. პირველათ სტავროპოლის გუბერნიაზე მიიტანეს იერიში, სადაც მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს ბოიკოტი გამოაცხადონ გადასახადებზე; დამსჯელ რაზმებმა ათამდის სოფელი მიწასთან გაასწორეს, რომ სხვა სოფლებს შიშის ზარი დაეცეს და გადასახადებზე უარის თქმა ვერ გაბედონო. მეორეთ ვიატკის გუბერნიის დაპყრობა მოუნდა მთავრობას. როგორც „რეჩ“-ის კორესპონდენტი იწერება, ვიატკის გუბერნიაში ხალხს პირდაპირ აჯანყება დაუწყია: „საერობო უფროსების და ადგილობრივ გადასახადების ინსპექტორების სხდომაზე გადაუწყვეტიათ გადასახადები შეიარაღებულ ჯარის დახმარებით აკრიფონ; მაგრამ ამან პირველ ნაბიჯიდანვე სამწუხარო შედეგი მოიტანა“. ერთ სოფელში სტრაჟნიკებმა გლეხებს გადასახადებში სარჩო-საბადებელი წაართვეს; მეორე დღეს 2000 გლეხი დაეცა სტრაჟნიკებს, რომლებსაც კუდით ქვა ასროლინეს, და თავისი ქონება უკან დაიბრუნეს! გაფუჭებულ სამოვარში ისპრავნიკს გადაახდევინეს ფული. „არც სხვა მაზრებშია უკეთესათ საქმე. სტრაჟნიკები სულყველანი სამსახურიდან გარბიან, უარს ამბობენ პოლიციურ სამსახურზე“. როგორც უკანასკნელ ცნობებიდან ჩანს, ვიატკის გუბ. გაუგზავნიათ „დამსჯელი (თუ დამპყრობი?) რაზმი“, რომელიც, რა თქმა უნდა, სისხლში ჩაახრჩობს გლეხების ურჩობას.

მესამეთ ჯერი მიდგა მრავალ-ტანჯულ გურიაზე. გურულებს ჯერ უარი არ განუცხადებიათ გადასახადების გადახდაზე, მაგრამ ადმინისტრატორებს მოუნდომებიათ წინდაწინვე დასაჯონ გურულები მომავალ უარისთვის. ნამდვილათ კი დიმიტრი მგელაძისთვის გადასახადების გადუხდელობა მხოლოდ საბაბია გურიაში შესასევათ და ხალხის გასაყვლეფ-ასაწიოკებლათ. ბევრგან ხალხმა თურმე დამზადებული ფული დაახვედრა რაზმის უფროსებს, მაგრამ ამით ვერ იხსნა სოფლები აკლებას; მგელაძე და კომპ., ეტყობა, „ნედოიმკებისთვის“ კი არ იყვნენ მოსულნი, არამედ სულ სხვა რამისთვის...

**ხულიგანები უფრო და უფრო თავხედდებიან.**

ხულიგანურმა პარტიებმა ძალა იგრძნეს და თავზე აჯდებიან საზოგადოებას; მათ მშვენივრათ იციან, რომ მთავრობა მათ სულით და გულით თანაუგრძნობს; სასახლის და პრემიერ-მინისტრის კარები მათთვის მუდამ ღიაა; გრადონაჩალნიკების და გუბერნატორების სტამბები მუდამ მზათ არის მათ ემსახურონ; სასამართლო მუდამ მზათ არის მოწყალებით შეხედოს ყოველს მათ დანაშაულს. საკვირველიც არ არის, თუ ხულიგანები უფრო და უფრო თამამდებიან, თუ მათ უფრო და უფრო ეღვიძებათ მადა; წინათ თუ მინისტრების ბინის უკანა კარებიდან მოქმედებდენ, ეხლა მათ შეიძინეს პირდაპირი, ბრძანებითი, მეფური კილო. თუ წინათ ერევოდენ პატარ-პატარა საქმეებში, რომლებიც მხოლოდ მათ შეეხებოდა (მაგ., შემოსავლიან ადგილის მიღება, გლეხების დასამშვიდებელ ეგზეკუციის გამოთხოვა და სხ.), ეხლა მათ მოუნდომებიათ პოლიტიკასაც თავისებური მიმართულება მისცენ; მათ არ მოეწონათ, მაგალითათ, იმ კანონის გაუქმება, რომლის ძალითაც ებრაელების მხოლოდ განსაზღვრულ რიცხვს შეეძლო უმაღლეს სასწავლებლებში შესვლა,—და მათ პირდაპირ ხელმწიფეს სთხოვეს, სამართალში მიეცი მინისტრიო; მათი ხმა ისე რიხიანი გამოდგა, რომ განათლების მინისტრმა თავი მოვალეთ ცნო თავი ემართლებინა. შინაური პოლიტიკაც ვიწრო ეჩვენათ ქვემძრომ პარტიებს; მათ მოისურვეს უცხოეთის პოლიტიკაში ჩარევაც: გერმანიის იმპერატორს პროტესტი შეუთვალეს, რათ მიიღე აუდიენციაზე „ჟიდების“ მინისტრი ვიტეო; და იმპერატორმაც საჭიროთ ცნო დაემშვიდებია „ნამდვილი რუსები“. ყველა ამნაირმა ფაქტებმა გაათავხედა ხულიგანები; მათ გავლენას დაუმორჩილა ადგილობრივი ადმინისტრატორები. ადესის გენ.-გუბერნატორი კაულბარსი, მაგ., პირდაპირ საპაგრომო პოლიტიკას დასდგომია ადგილობრივ „ჭეშმარიტ რუსების“ გულის მოსაგებათ. ადგილობრივმა „რუს ხალხის კავშირმა“ ადესაში აშკარა მკვლელობა გააჩაღა. ებრაელების დეპუტაციამ გენ.-გუბერნატორს სთხოვა, დაიფარეთ საზოგადოება ამ უბედურობისაგანო. დეპუტაციის „დასამშვიდებლათ“ კაულბარსმა უპასუხა, მე ყოველთვის მფარველი ვიქნები „კავშირისა“, ყოველ დახმარებას გაუწევ მას, მალე ქალაქში კიდევ სამი განყოფილება გაიხსნება ამ „კავშირისაო“; თუ „კავშირის“ ერთ წევრს მაინც არის დაუშავდა რამე, მთელ ადესას სისხლით მოვრწყავთო. ამ სიტყვებით წაქეზებულმა „ჭეშმარიტმა რუსებმა“ მაშინვე მკვლელობას უმატეს; ადესის პოლიცია ამ საქმეში „ნეიტრალიტეტს“ იცავდა. „ჭეშმარიტ რუსებს“ ადესაში (როგორც ბევრგან სხვაგანაც) შეუდგენიათ მებრძოლი რაზმი, ე. წ. „თეთრი გვარდია“. ამ „თეთრმა გვარდიამ“ ისე მოუხშირა მკვლელობას, რომ თვით „კავშირის“ მაგარ-ნერვებიანმა წევრებმაც კი ველარ მოითმინეს და საზოგადო კრებისაგან მოითხოვეს, „გვარდიას“ იარაღი ავყაროთო; „კავშირის“ თავმჯდომარემ კონოვნიცინმა ეს „ურჩობა“ რომ შეიტყო, დეპეშით უბრძანა „კავშირს“, გააძევეთ „კავშირიდან“ ეგ ათი წევრიო და „ურჩი“ წევრები გააძევეს. ამჟამათ „კავშირმა“ ადესის ბატონ-პატრონათ იგრძნო თავი. ქალაქის თავი გამოექომაგა ერთ მცირეწლოვან ებრაელ გიმნაზიელს, რომელმაც მასწავლებელს შეურაცყოფა მიაყენა; „თეთრმა გვარდიამ“ ქალაქის თავს წერილი გაუგზავნა, რომელშიაც უბრძანებდა, ან ბოდიში მოიხადე, ან სიცოცხლეს უნდა გამოესალმოო.

**კადეტებმა ჭკუა ვერ ისწავლეს.**

რამდენჯერ ჭკუა უსწავლებია მთავრობას კადეტებისთვის, რამდენი მწარე გაკვეთილი მიუცია მათთვის, მაგრამ არ იქნა, მაინც გული ვერ გაუტეხა კადეტებს, მაინც ვერ დაარწმუნა, რომ მთავრობა კადეტების რჩევას არ გაიგონებს, რომ კადეტებმა სამუდამოთ ხელი უნდა აიღონ მთავრობის დარიგებაზე. ამას წინათ მურომცევს ერთ ფრანგ-ჟურნალისტთან ულაპარაკნია და, სხვათა შორის უთქვამს, იმედი მაქვს მთავრობა არ იკადრებს რაიმე ძალდატანებას არჩევნების დროსო.—მეორე კადეტი ამას წინეთ მთავრობას ურჩევდა, ის ფულები, რომელსაც ფლოტზე ხარჯავ, ემჯობინება ისევ არმიის გაძლიერებას მოახმაროო.—ეხლა გამოსულა მესამე გავლენიანი კადეტი, პროფ. კოტლიარევსკი და „რუს. ვედ.“-ის ფურცლებზე მთავრობას ნოტაციებს უკითხავს: კაცო, რა არის ამოდენა პაგრომების მოხდენა, რა არის ამოდენა ხალხის ელეტა, როგორ არა გრცხვენია; თუ შინაურებისა არ გერიდება, საზღვარ-გარეთზე მაინც იფიქრე, იქ ხომ სულ სახელი გაგიტყდებაო: „ბელასტოკი და სედლეცი მარტო ზნეობის მხრივ კი არ არის დამამცირებელი მოვლენა, არა, ეგ ჩვენ საერთაშორისო მდგომარეობასაც დაღუპავს“. მაგნაირი ფაქტები ინგლისთან მორიგებას დაუშლის. „გარეშე საქმეთა მინისტრმა უნდა აუხსნას თავის უფლების მქონე ამხანაგებს, რა გავლენა აქვთ შინაურ ამბებს გარეთ“. კოტლიარევსკის ჯერ იმედი არ გასტეხია, რომ ამნაირ ლექციებით შესაძლებელია მთავრობას პაგრომებზე ხელი ავაღებინოთ. ის თავის თავს არ უჯერის, თუ მთავრობა იკადრებს და მის ლექციების შემდეგაც განაგრძობს კავშირს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ „პაგრომშჩიკებთან“: „ნუ თუ მთავრობა აშკარათ და ცხადათ არ მოიშორებს იმ ხალხს, რომლებიც მის „მემარჯვენე მეგობრებს“ უწოდებენ თავის თავს“?

ტყუილათ არ უთქვამთ, კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებსო!

**მუსულმანებშიაც „კრამოლა“ შეპარულა!**

„როსსია“ გულისწყრომით მოგვითხრობს მუსულმანების სიეზდის ამბავს. აგვისტოს დასაწყისში თურმე მუსულმანების წარმომადგენლებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სთხოვეს, ნება მოგვეცით სრულიად რუსეთის მუსულმანთა წარმომადგენლების სიეზდი გავმართოთ ნიჟნი-ნოვგოროდშიო; ხომ იცით, მუსულმანები ყოველთვის ერთგულნი ყოფილან ტახტისა და მამულისა, და მაშ მათი სიეზდი მთავრობისათვის საშიშარს არას წარმოადგენსო. მთავრობამ სიეზდის გამართვის ნება მისცა იმ იმედით, რომ, სულ ერთია, მუსულმანებს პოლიტიკის „ინჩიც“ არ ესმითო, ილაპარაკებენ თავის ისლამზე და დაიშლებიანო. მაგრამ წარმოიდგინეთ შინაგან საქმეთა მინისტრის გაოცება, როცა პირველ სხდომაზევე მუსულმანებმა პოლიტიკური კითხვები აღძრეს! გამოიტანეს რეზოლიუციები, რომლებშიაც კიცხავენ მთავრობის პოლიტიკას, პროტესტს აცხადებენ მუსულმანების მოქალაქეობრივ უფლებების შეზღუდვის წინააღმდეგ, გმობენ სახ. სათათბიროს დათხოვნას, რომელმაც სიეზდის აზრით, სახელმწიფოს ამოდენა სარგებლობა მოუტანა, მოითხოვენ მთავრობისაგან, ყველა კანონპროექტები მუსულმანების შესახებ მოამზადოს სახ. დუმამ გაარჩიოს და დუმის მოწვევა დაჩქარდესო. ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ „როსსია“ მთავრობას აფრთხილებს: „მთავრობა უნდა ძალიან ფრთხილათ მოექცეს იმ მრავალ შუამდგომლობებს, რომლებიც აღძრულია სხვადასხვა სიეზდების გამართვის შესახებო“.

## პარტიის ცხოვრებიდან

**კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების სიეზდი.**

ამ დღეებში დასრულდა კავკასიის სოც.-დემ. მუშათა ორგანიზაციების სიეზდი. სიეზდს დაესწრო 43 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, ასე რომ, სიეზდზე წარმოდგენილი იყო 13 ათასამდე მუშა. ყველაზე მეტი დელეგატები ჰყავდა თფილისს, სახელდობრ 22. გურიიდან დაესწრო 6 დელეგატი, ბაქოდან—4, ჭიათურიდან—2 და თითო დელეგატი ქუთაისიდან, ბათომიდან, სამტრედიიდან, ბორჯომიდან, ხაშურიდან, სიღნაღიდან და განჯიდან. სათათბირო ხმით იყვნენ დუშეთიდან, ყვირილიდან, დაღესტნის მხარედან, სოხუმიდან და სხვ. სიეზდის მუშაობა გაგრძელდა 10 დღეს. პირველი კრებები მოანდომეს სხვადასხვა ორგანიზაციების მოხსენებების მოსმენას. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ჩვენი პარტია ყველგან იზრდება და ძლიერდება, თუმცა საკმაო ძალების (პროპაგანდისტების და სხვ.) ნაკლებობა ძალიან აფერხებს საქმეს. სხვა პარტიებიდან ყველაზე უფრო ძლიერი ყოფილა დაშნაკცუტიუნის ანუ დროშაკისტების პარტია, რომელსაც სომხის შეუგნებელ პროლეტარიატში და გლეხკაცობაში აქვს მკვიდრი ნიადაგი. თუმცა ძლიერი ყოფილა ეს პარტია მაგრამ მას თანდათან ეცლება ნიადაგი და ეს აიძულებს მას სასტიკათ ებრძოლოს სოციალდემოკრატიას და, საზოგადოთ, მუშათა ორგანიზაციებს. ეს პარტია არ კმაყოფილდება უპარტიო კავშირების დარღვევით და ხშირათ პირდაპირ ხულიგანურ როლს თამაშობს. პარტია „ინჩაკ“ სოციალდემოკრატიის დროშის ქვეშ გამოდის ხშირათ, რომ თავისი „კონტრაბანდა“ ადვილათ გაასაღოს. ორივე ამ პარტიის შესახებ სიეზდმა შესაფერი რეზოლიუციები გამოიტანა. სიეზდის წეს-რიგში შეტანილი იყო აგრეთვე სომხის სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციასთან დამოკიდებულება, რადგან ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი არ გამოცხადდა, ამიტომ დამოკიდებულებაზე ლაპარაკი მოსპეს; ისე სიეზდმა დაგმო პარტიის შენების ნაციონალური პრინციპი. სხვა პარტიები, როგორც, მაგალითად, ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლიუციონერები და სხვები, ერთობ სუსტი ყოფილა. სიეზდის კითხვებში ყველაზე მეტი დრო „თანამედროვე მომენტს და ჩვენ ტაქტიკა“-ს მოხმარდა. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც აღიარებს, რომ დუმის გარეკის შემდეგ დამფუძნებელი კრება სახალხო ლოზუნგათ გახდა. სიეზდი წინადადებას აძლევს სოც.-დემ. ორგანიზაციებს, რომ, ამ ლოზუნგის განსახორციელებლათ ჯეროვანათ ისარგებლონ ხალხის მასიური მოძრაობით, რომელიც მოსალოდნელია და აგრეთვე დუმის კამპანიით. გადაწყვეტილ იქნა აგრეთვე გატარდეს გლეხებში სალდათების და გადასახადების ბოიკოტი. შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია პროფესიონალურ კავშირების შესახებ კავკასიაში. სიეზდმა აღნიშნა ის გარემოება, რომ ჩვენში ძალიან ცოტა გაკეთდა პროფესიონალურ მოძრაობის საქმეში, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენში სხვაზე უფრო არეულია ერთმანეთში სხვადასხვა ეროვნების მუშები. სიეზდი ურჩევს ორგანიზაციებს ყურადღება მიაქციონ უპარტიო და ინტერნაციონალურ კავშირების დაარსებას. სიეზდი შეეხო აგრეთვე პარტიულ ორგანიზაციების რეორგანიზაციას. დატოვებულ იქნა „იაჩეიკური“ სისტემა, რომელიც თფილისში არსებობს და ცეხური ორგანიზაციები სადაც ეს აუცილებელი იქნება პროფესიონალურ კავშირების უქონლობის გამო. გლეხებში მუშაობის შესახებ სიეზდმა ის აზრი გამოთქვა, რომ საჭიროა ფართო დემოკრატიულ ორგანიზაციების შექმნა ეკონომიურ კითხვების გადასაწყვეტათ; სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციის ხელოვნურათ გამოყოფა (იქ, სადაც პროლეტარები არ არსებობენ) სიეზდმა სასარგებლოთ არ იცნო. სიეზდმა საჭიროთ არ იცნო საგანგებო პარტიულ სიეზდის მოწვევა, ხოლო უპარტიო მუშათა სიეზდი სასურველათ ცნო და შესაფერი რეზოლიუციები მიიღო. სიეზდის წესრიგში იყო აგრეთვე საკითხი თათრებსა და სომხებში მუშაობის დემოკრატიულ ორგანიზაციებთან დამოკიდებულებისა და სომეხ-თათართა ხოცვის შესახებ. რევოლიუციონურ-ოპო-

---

# ფელეტონი

—:—

***

ველარ შესძელი ცხოვრებასთან ბრძოლა მედგარი,
ვერ აიტანე გაჭირვება, ტანჯვა, წვალება,
უსამართლობა, ტვირთ ქვეშ გმინვა, სიცივ-სიმშილი
და ძლიერთაგან ტუქსვა, ჩაგვრა და დამცირება...
და მიუტანე შენი თავი მსხვერპლათ მდინარეს,
რომ მის ზვირთებში მოგეპოვა თავშესაფარი,
აღარ გსმენოდა მწარე მოთქმა, ოხვრა და კვნესა,
და საზარელი სევდიანი გლოვისა ზარი...

—

უფრო ცივია მტარვალთ გული, ვიდრე მდინარის,
რომელმაც მოგცა თვის უფსკრულში ცივი სამარე;
აქ, სოფლით, ქალაქით ბრძოლა არის, ბრძოლა სასტიკი,
კვლავ ისმის კვნესა, კვლავ იღვრება ცრემლი მდუღარე.
მებრძოლთა სისხლით მორწყულია ცხოვრებისა გზა,
ულირსთ ხელთაგან სამართალი შებორკილია;
შემწიკვლულია ქალაქთ დროშა თავისუფლების,
წმინდა სიმართლე, სიყვარული გათელილია.

ლ. ქსმაშვილი.

---

**კაპიტალიზმი და მეურნეობა**

(აგრარული საკითხის გამო)

(შემდეგი *)

**VII**

აგრარული საკითხის თეორეტიული მხარე, მოკლეთ რომ ვთქვათ, შემდეგში გამოიხატება: მეურნეობა ემორჩილება კაპიტალიზმის განვითარების კანონებს. კაპიტალის ძალა სოფელში დღითი-დღე იზრდება. სოფელი მის ზედგავლენით გამოდის კლასთა ბრძოლის სარბიელზე. თუმცა კაპიტალის ძლევა-მოსილ განვითარებას სოფელში წინ ეღობება სხვადასხვა შემაფერხებელი ტენდენციები, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლის. წვრილი, პატრიარქალური მეურნეობა თანდათან ისპობა: ის უთმობს ალაგს მსხვილ, კაპიტალისტურ მეურნეობას. წარმოების ამ უკანასკნელ ფორმას მოითხოვს საწარმოვო ძალების განვითარება. ეს პროცესი აუცილებელია და თუ გნებავთ „სტიქიურიც“. ასეთია მოკლეთ ჩვენი თეორეტიული პოზიცია და ვისაც სურს უარჰყოს ს. დემოკრატიულ პარტიის აგრარული პროგრამა, მან უნდა დაარღვიოს ეს თეორიული საძირკველი.

ჩვენ განზრახ დიდხანს შევჩერდით აგრარულ საკითხის თეორიულ მხარეზე, ვინაიდან თვითოეულ პარტიის პრაქტიკული პროგრამა გამომდინარეობს მის თეორიულ მსოფლმხედველობიდან. სხვადასხვა პრაქტიკების აგრარული პროგრამების შინაარსი დამყარებულია იმ თვალთახედვის ისარზე, რომელზედაც დგას ესა თუ ის პარტია თავის თეორიულ მსჯელობაში მეურნეობის და კაპიტალიზმის განვითარების შესახებ. დღეს მთელ რუსეთში წამოყენებულია უმთავრესათ ოთხი აგრარული პროგრამა: 1) სოციალიზაცია; 2) ნაციონალიზაცია; 3) მიწის დაყოფა (раздѣлъ) და 4) მუნიციპალიზაცია. შევჩერდეთ ჯერ პირველზე. მიწის სოციალიზაცია რუსეთში პირველათ ეს-ერებმა წამოაყენეს. ამ პროგრამას მიემხრენ, სხვათა შორის, ჩვენი ფედერალისტებიც. რაში მდგომარეობს მიწის სოციალიზაცია? სოციალიზაცია ნიშნავს მიწის განსაზოგადოებრივებას. სოციალიზაციის დროს სოფელში მიწა მთლად საზოგადოების ხელში გადადის, ე. ი. ის კარგავს კერძო საკუთრების ხასიათს. მიწა საზოგადოების კუთვნილებაა და ვისაც რამდენი ესაჭიროება, იმდენს დაიმუშავებს. ეს იმას არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ სოციალიზაციის დროს, მოისპობა ყოველივე საკუთრება, მაგ. საკუთრება საწარმოვო იარაღებზე. როგორც თვით ფედერალისტები გვარწმუნებენ, ამას მოითხოვს მხოლოდ სოციალიზმი... „მიწის სოციალიზაცია, ამბობს ბ-ნი შალვა ერთ თავის ფელეტონში, *) არა სპობს კერძო საკუთრებას საწარმოვო იარაღებზე დასაერთოთადამიანის შრომის ნაყოფზე, არა სპობს ბაზარს და საქონლის ყიდვა-გაყიდვას, არა სპობს ინდივიდუალურ წარმოებას და არ აარსებს წარმოების ნაყოფის საზოგადო სარგებლობას, ე. ი. მიწის სოციალიზაცია არა ნიშნავს ბურჟუაზიულ წეს-წყობილების დანგრევას და სოციალიზმის დამყარებას“. ამ სიტყვებს ჩვენც სრულიად ვეთანხმებით. „მაგრამ, განაგრძობს ბ-ნი შალვა იმავე ფელეტონში, სრულებით არა კმარა იმის დამტკიცება, რომ მიწის სოციალიზაციის დამყარება გლეხებისთვის საჭიროც არის და შესაძლებელიც. სოციალისტური პარტია მოვალეა (?) ისიც გამოიკვლიოს, თუ რამდენათ არის ასეთი რეფორმა საჭირო სოციალიზმის გამარჯვებისთვის“. „მაგრამ“, ბ-ნო შალვა, ამ სიტყვებს სრულიად არ ვეთანხმებით: ათასჯერაც რომ გამოიკვლიოთ მიწის სოციალიზაციის საჭიროება სოციალიზმისთვის, თქვენ ამას ვერ დაამტკიცებთ, ვინაიდან სოციალიზაცია არამც თუ საჭიროა, მავნებელიც კია სოციალიზმის გამარჯვებისთვის. სოციალიზაცია არ შეესაბამება თანამედროვე ცხოვრების ეკონომიურ მსვლელობას და არც გვიკაფავს გზას სოციალიზმისკენ; მაშასადამე, მისი განხორციელება არც შესაძლებელია, და არც საჭირო. სოციალიზაცია არ შეესაბამება თანამედროვე ცხოვრების ეკონომიურ მსვლელობას. დავამტკიცოთ ჯერ ეს აზრი. მკითხველმა უკვე იცის, რომ დღევანდელი მეურნეობა მსხვილ კაპიტალისტურ განვითარების გზას დაადგა. ამ უკანასკნელმა შექმნა ახალი საზოგადოებრივი კლასები, ბურჟუაზია და პროლეტარიატი და გაამწვავა მათ შორის კლასიური წინააღმდეგობა. ვერავითარი ძალა ვერ მოსპოზს ამ წინააღმდეგობას, სანამ არსებობს კაპიტალისტური წეს-წყობილება. იგი გაქრება მხოლოდ სოციალიზმის დროს. ამ კლასთა ბრძოლის ნიადაგზე აღმოცენდა და განვითარდა სოფელში მსხვილი კაპიტალისტური წარმოება და, როდესაც პირველი, ე. ი. კლასთა ბრძოლა, მიაღწევს თავის უმაღლეს წერტილს, მაშინ მსხვილი, კაპიტალისტური მეურნეობაც შეიცვლება კოლლექტიურ წარმოებათ. მაშასადამე, თანამედროვე მსხვილი, კაპიტალისტური მეურნეობა, დამყარებული კლასთა ბრძოლაზე, აუცილებელი ეტაპია სოციალიზმის განსახორციელებლათ. ამიტომ თუ „მოვალეობაზე“ მიდგება საქმე, ყოველი სოციალისტური პარტია მოვალეა წამოაყენოს ისეთი აგრარული პროგრამა, რომლის პრაქტიკულათ განხორციელება ხელს შეუწყობს ამ კლასთა ბრძოლის გაღრმავებას და მსხვილ მეურნეობის განვითარებას. ეს ორი პირობა საჭიროა სოციალიზმის გამარჯვებისთვის. სოციალიზაცია კი ვერ აკმაყოფილებს ვერც ერთ ამ პირობას. სოციალიზაციის პირველი მიზანია დააკმაყოფილოს „მშრომელი“ გლეხკაცობა, ე. ი. გლეხკაცობის ისეთი ნაწილი, რომელიც მატერიალურათ დაქვეითებულია. მათ მიეცემათ თანასწორ სარგებლობისათვის მიწა (уравнительное землепользованіе). მაგრამ ცარიელ მიწით კუჭს ხომ ვერ გაიძღობ? მიწას უნდა დამუშავება, ეს უკანასკნელი კი უიარაღებოთ არ შეიძლება. საწარმოვო იარაღებზე კი კერძო საკუთრება ისევ რჩება. თქმა არ უნდა, რომ ასეთ პირობებში „მშრომელ გლეხკაცობას“ ფედერალისტებისგან ნაბოძები მიწა ისევ ხელიდან გაუსხლტება, ის გადავა იმის ხელში, ვისაც მის დასამუშავებლათ ფულიც აქვს და იარაღიც. „ეს შეუძლებელია, ამბობენ ფედერალისტები, სოფლის მომავალი საზოგადოება ნებას არ მისცემს მდიდრებს, რომ მიწა ისევ სულ მათ ჩაიგდონ ხელში!..“ გვაქვს პატივი ვაუწყოთ ფედერალისტებს, რომ შეძლებულებს არც მომავალი დემოკრატიული საზოგადოება გაუტეხს ხათრს, ვინაიდან ის სოციალიზაციის დროსაც კლასთა ბრძოლის გამომხატველი იქნება. ის დააკმაყოფილებს იმის სურვილს, ვინც ეკონომიურათ ძლიერია. მორჩა და გათავდა! მდიდრები, მაშასადამე, ისევ გამდიდრდებიან, ღარიბები უარესათ დაღარიბდებიან. ის უნიადაგო საძირკველი, რომელზედაც სოციალიზაცია იქნება აშენებული, მთლად დაინგრევა და სოფლის ცხოვრება ისევ ძველ, კლასთა ბრძოლის კალაპოტში ჩადგება. ეს-ერები და ფედერალისტები? ესენი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი თავიანთ „დიადი

*) იხ. „გრიგალი“ № 5.

*) იხ. „შრომა“ № 80 ფელეტონი.

ხელოსნურ ძალების დასაკავშირებლათ სიეზდმა საჭიროთ ცნო ყურადღება მიექცეს და ხელი შეუწყონ დემოკრატიულ ორგანიზაციების (წვრილი ბურჟუაზიაც და სხ.) შექმნას. გარდა ამისა სიეზდმა გადაწყვიტა ლონისძიება მიიღონ, რომ რაზმელებს იარაღი ჩამოერთვას და საზოგადოთ რაზმი, როგორც მუდმივი შეიარაღებული ინსტიტუტი, გაუქმდეს. იარაღს ორგანიზაცია უნდა ინახავდეს. მიღებულ იქმნა რეზოლიუცია ნაციონალურ კითხვის შესახებ. ავტონომია, როგორც ტერიტორიალური ისე ნაციონალური უარყოფილია. გადაწყვეტილ იქნა კიდევ რამდენიმე წვრილმანი კითხვა, ბოლოს მიღებულ იქნა საორგანიზაციო წესდება და მოხდა არჩევნები. წესდების ძალით კავკასიის ორგანიზაციების საქმეში უმაღლესი ორგანოა სიეზდი, რომელიც წელიწადში ერთხელ იკრიბება (ჩვეულებრივი). სამას კაცს ეყოლება ერთი წარმომადგენელი. გლეხებიდან თითო მაზრას ეყოლება თითო წარმომადგენელი სათათბირო ხმით. ხელმძღვანელია კავკასიის საოლქო კომიტეტი, ცხრა წევრისგან შემდგარი. ლიტერატურის საქმეც კავკასიის ცენტრს მიენდო. არჩეულ იქნა აგრეთვე სარევიზიო კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს ძველი ბიუროს ანგარიშები, რადგანაც სიეზდზე შესაძლებელათ ვერ იცნეს ბიუროს ანგარიშის განხილვა.

—

**ბუნდის** მეშვიდე სიეზდი კერძო გამოსვლების წინაამდეგი გამხდარა, რის შესახებაც შესაფერი რეზოლიუცია მიუღია.

## ახალი ამბები

გუშინ, 21 სექტემბერს, ნაშუადღევის 12 ნახევარ საათზე, მიხეილის ქუჩის თავში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ვიღაც უცნობმა **ყუმბარა ესროლა** თფილისის პოლკის ორ აფიცერს—იმნაძეს და ტემნიკოვს. ყუმბარა გასქდა და იმის ნატეხებით მძიმეთ დაიჭრა აფიცერი ტემნიკოვი და მეეტლე, ხოლო იქავე მოკლულ იქმნა აფიცერი იმნაძე. უცნობი მიიმალა. იმ ადგილას, სადაც ყუმბარა ისროლეს საჩქაროთ მოვიდა ჯარი და პოლიცია. მახლობელი დუქნები და მაღაზიები საჩქაროთ დაკეტეს. მოკლული და დაჭრილი მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს. გაჩხრიკეს „სევერნი კავკაზის“ ნომრები, დააპატიმრეს ამ ნომრების რამდენიმე ბინადარი და კარებში ყარაულები დააყენეს. პოლიციას დაუპატიმრებია ვიღაც ივანე ლეონტის ძე ვილაზკო, რომელიც თითქოს ამ საქმეში მონაწილეობას იღებდა.

✦ გუშინ-წინ მეძევი ქუჩაზე რევოლვერის ორი ტყვიით **მოჰკლეს პავლე იმნაძე,** ძმა იმ იმნაძისა, რომელსაც ტემნიკოვთან ერთად გუშინ მიხეილის ქუჩაზე ყუმბარა ესროლეს. ზოგნი ამბობ, თითქოს იმნაძეს თვითონ მოეკლას თავისი თავი. ნამდვილი ამბავი გამოძიებით ჯერ ვერ გამოუკვლევიათ. არც მოკვლის მიზეზი იციან.

✦ გუშინვე ნაშუადღევს 3 საათზე ვაზნესენსკი ქუჩაზე ვიღაც უცნობმა რევოლვერის ორი ტყვიით **სასიკვდილოთ დასჭრა საგუბერნიო სამმართველოს მდივანი თულაევი,** რომელიც მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა.

✦ 19 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე **ნაძალადევში,** უფასო ბიბლიოთეკის შენობაში პატრულებმა დააპატიმრეს ბიბლიოთეკაში ამ დროს მყოფი რვა კაცი; პლატონ ლომთაძე, კირილე ფარულავა, ეფრემიძე, პაპავაძე, გიგო კალატოზიშვილი, ოფრაჯანოვი, კოკამაძე და მებიბლიოთეკე მიტო ქიტუაშვილი. ყველა ესენი ჯერ საკომენდანტო სამმართველოში წაიყვანეს, ხოლო შემდეგ ორი კაცის გარდა მე-7 ნაწილის სამმართველოში გადაუყვანიათ, სადაც დღემდე დამწყვდეულნი არიან. ორი კაცი საკომენდანტო სამმართველოში დატოვეს.

✦ თფილისის **თონის პურის მცხობელთა კავშირი** ბოიკოტს უცხადებს ლუდხანის პატრონს ვლადიმერ წულუკიძეს, რომელიც მუხრანის ბორანთან ვაჭრობს, რადგან მან ყოვლად უდანაშაულოთ სცემა ვანო მერკვილაძეს. კავშირი მოუწოდებს ლუდის და ლიმონათის მექარხნეებს არ მისცენ მას ლიმონათი და ლუდი. აგრეთვე მოუწოდებს საზოგადოებას არ ივაჭრონ წულუკიძის ლუდხანაში და მტკიცეთ დაიცონ ბოიკოტი. ბოიკოტი ძალაში შედის დღიდან გამოცხადებისა.

✦ **სოფელ ძეგვიდან** (გორის მაზრა) გვატყობინებენ, რომ 19 ამ თვეს, ღამის 9 საათზე ძეგვის მცხოვრებს მიხეილ როსტიაშვილს თავს დასხმია 8 შეიარაღებული უცნობი. ამათ მოუთხოვიათ როსტიაშვილისაგან მუშების დასარიგებლათ მიღებული ფული. როსტიაშვილს წინააღმდეგობა გაუწევია, რისთვისაც **უცნობთ სროლა აუტეხიათ.** სროლის დროს დაჭრილა როსტიაშვილის 18 წლის ვაჟი. ამის შემდეგ თავდამსხმელებს გაუტაცნიათ 195 მანეთი ფული და მიმალულან.

✦ 18 ამ თვეს დ. ყვირილაში **ბოქაულ მახარაძეს** დაუჭერია ვანო საყვარელიძე. ის უკვე სამართალში მისცეს გაძლიერებულ დაცვის წესების დებულების მე-23 მუხლის ძალით.

✦ როგორც გადმოგვცეს **დ. ყვირილიდან ყველა ქართველი დარაჯები ქ. ბაქოში გადაუყვანიათ** და მათ ადგილას მოუწვევიათ ინგუშები. ყვირილაში დაუტოვებიათ მხოლოდ ქარქაშაძე და ბიზაძე, როგორც დამასაბუთებელნი.

✦ ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ იქ 18 ენკენისთვეს სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენით **დაუხვრეტიათ ორი ძმა ფხაკაძეები.** მათ ბრალდებათ დიდ შარაზე ურიის გაძარცვა.

✦ ძველ სენაკიდან გვატყობინებენ, რომ იქ ამ დღეებში დაუჭერიათ ცნობილი ფალავანი **ნესტორ ესებუა.** აბრალებენ მებრძოლ რაზმის წევრობას.

✦ გუშინ „მშაკ“-ის რედაქციამ **ქ. ორდუბათიდან** (ერევნის გუბერნიაშია) შემდეგი დეპეშა მიიღო: „დღეს ორდუბათში შეიკრიბნენ ს. აკულისის სომხები და ორდუბათის მცხოვრები თათრები. კრებას თავმჯდომარეობდა მაზრის უფროსი ფილიპპოვი. სომხები და თათრები შერიგდნენ. ერთმანეთს სიტყვა მისცეს წარსული დაივიწყონ და მომავალში ეცადონ ასე თუ ისე, რომ ორივე ერის მეგობრულ დამოკიდებულებას არა ევნოს-რა. გამოირკვა, რომ ბოიკოტი ორდუბათელ თათრებს არ გამოუცხადებიათ.

✦ **თფილისის დრ. გენერალ-გუბერნატორმა** შეატყობინა თფილისის პოლიცმეისტერს მხედველობაში მიიღოს, რომ მან კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების შენობაში (გეორგიევის ქუჩა, № 4) ნება დართო საღამოობით პრაქტიკული მეცადინეობისა „ესპერანტოს“ ენის შესასწავლათ, თფილისის საზოგადოების „ესპეროს“ წევრთ.

✦ ამას წინეთ ადგილობრივ გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა, რომ ტფილისის **პოლიცმეისტრის სამმართველო** სოლოლაკში, ლერმონტოვის ქუჩაზე, გადადისო. ტფილისის დრ. გენერალ-გუბერნატორი აცხადებს, რომ სამმართველო ჯერჯერობით არსად გადაუტანიათ და როცა გადაიტანენ, გაზეთებში გამოცხადდებაო.

✦ **ქუთაისის** გუბერნიიდან ტფილისში შემდეგ ამბებს იტყობინებიან: ამას წინეთ შორაპნის მაზრის სოფ. წოქვაში 7 შეიარაღებული უცნობი თავს დაესხა გლებ ივანე ხაჩაძეს. მოსთხოვეს ფული. ხაჩაძის შვილმა ყვირილი დაიწყო და ავაზაკები გაიქცნენ.—ამ დღეებში ხონის საპოლიციო ნაწილის ბოქაულმა დააპატიმრა და იმავე ნაწილის გამომძიებელს გადასცა ფილიპე ბენაძე, რომელსაც სხვადასხვა ბოროტმოქმედებას აბრალებენ. — შორაპნის მაზრის ს. რუფოთში ამას წინეთ თავს დასხმიან აზნ. მაჭავარიანს. წაუღიათ ფული რამდენიმე მანეთი და სხვადასხვა ნივთები. ბრალს სდებენ სოფ. ღვანკითის მცხოვრებ ვასო მახვილაძეს და სოფ. რუფოთის მცხოვრებთ ირაკლი ღიბრაძეს და სამუილ თოთიძეს. ესენი ამ ჟამათ ყვირილის ციხეში არიან დაპატიმრებულნი.

✦ **სოხუმიდან** იტყობინებიან, რომ ამას წინეთ კონდუქტორის ქუჩაზე უნახავთ მოკლული ნესტორ კემულარია, სოხუმის ოლქის სოფ. გულრიპშის მცხოვრები. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ კემულარიას თავის სახლში დასცემიან. მოუკლავთ მასთან მყოფი მიხეილ ქიშქარიანი და ბესარიონ თოლორაია, ხოლო თვით კემულარია გაქცეულა და კონდუქტორის ქუჩამდე მიუხწევია. ამბობენ თითქოს კემულარია ცნობილ ავაზაკს კიზინბეი-რაიშ-იფას მოეკლას, რადგან ამისათვის ორი წლის წინეთ კემულარიას მამა მოუკლავს. ამ საქმისათვის კემულარიას საოლქო სასამართლომ 10 წლით კატორღა გადაუწყვიტა, ხოლო შემდეგ კატორღა 2 წლით ციხეში დაპატიმრებით შეუცვალეს. თოლორაიას სოხუმში კიწურაშვილის მოკვლას აბრალებენ, ხოლო ქიშქარიანს ქურდობას.

✦ **ქალაქის ამბები.** გუშინ, 21 სექტემბერს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, ლერმონტოვისა და ველიამინოვის ქუჩის კუთხეში ვიღაც უცნობმა რევოლვერის ორი ტყვიით სასიკვდილოთ დასჭრა თფილისის მეორე გილდის ვაჭარი ქიშმიშევი, რომელსაც სავაჭრო პუშკინის ქუჩაზე აქვს. ქიშმიშევი მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. —გუშინწინ, 20 სექტემბერს, ნემეცთა ქუჩაზე ნესტორ ჯაფარიძის ტრაქტირში 7 კაცი იჯდა და ჩაის სვამდა. უცბათ, როდესაც მეტრაქტირე შემთხვევით გარეთ გავიდა, უცნობნი წამოდგენ და მოიტაცეს 1060 მანეთი და გაიქცნენ.

✦ 18 ენკენისთვეს ნაშუაღამევის პირველ საათზე ანტონოვის ქუჩაზე მეპურე ილიკო ნასარიძეს თავს დაესხნენ ქურდები და დაუწყეს დუქანს მტვრევა. ნასარიძე გარეთ გამოვარდნილა და თავის ძმით და ქურდებს დასდევნებია. ისინი აღმოჩნდნენ: გალაქტიონ ფანჯავიძე, იასონ დაჭველაშვილი და ვანო ნასარიძე.

✦ კვირას 17 სექტემბერს მცხეთაში სცენის მოყვარეებს წარმოდგენა გაუმართავთ, წარმოუდგენიათ „ფული და ხარისხი“ აზიანისა. და „ჭკუის მშვილდი“ ცაგარლისა. მცხეთის საზოგადოება მადლობას სწირავს წარმოდგენის გამმართველებს, რადგან მათ კარგათ შეასრულეს თავიანთი როლები.

## პროვინციის ქრონიკა

**ქართლის შავმა რაზმმა** უკვე ოფიციალურათ დაიწყო მოქმედება. გორის მაზრის ზოგიერთ სოფლებში ბევრი „კაზაკური“ აქტები მოუხდენიათ. სოფ. ქვენატკოცაში სცემეს დუთისა თოთლაძეს (55 წლ.), პეპა გოშარელს (70 წლისას), გიორგი გელაშვილს (56 წლ.). ძალით წაართვეს მცხოვრებლებს 91 ფუთი ქერი. სანო გელაშვილს წაართვეს 10 სული ცხვარი, ერთი სოფელშივე დაკლეს. სოფ. ფცასაც ეწვივენ მოულოდნელი სტუმრები და წაართვეს ანდრო თასაძეს 140 მანეთი, ხოლო გაბა თასაძეს 50 მან. შავრაზმელებმა ს. თამარაშენშიაც ისახელეს თავი. სოსე ხეიძეს დაუწვეს ხის საბძელი, რომელშიც წლის სარჩო ქონდა შენახული. საბრალო სოსეს ძლივს თორმეტიოდე კოდი პური გადაურჩენია და ისიც ნახევრათ დამწვარი. სოფ. ქვენატკოცაში აგრეთვე ერთი გლეხისათვის უღელი ხარი წაურთმევიათ.

**სოფ. ვანიდან** იწერებიან, რომ იქ მოუხდარა დიდი მიტინგი, რომელსაც, 6000 ქალი და კაცი დაესწრო. მიტინგს დაესწრო ყოფილი წევრი სახელმწიფო დუმისა ისიდორე რამიშვილი, რომელმაც განუმარტა ხალხს დუმის მოქმედება და მთავრობის ტაქტიკა. ხალხმა დაგმო მთავრობის ვერაგული მოქმედება და ის აზრი გამოსთქვა, რომ მთავრობის კლანჭებიდან მას იხსნის მხოლოდ დამფუძნებელი კრება მოწვეული საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით. მიტინგის დასასრულ ხალხი „მარსელიეზის“ სიმღერით მშვიდობიანათ დაიშალა.

**ოზურგეთიდან** გვატყობინებენ, რომ იქ მოსამსახურე „ტრაჰნიკები“ (უმეტესათ ქართველი მაჰმადიანები) დაუთხოვიათ და მათ ადგილას ეგრეთ წოდებულ ინგუშებს ელიანო. ცხადია ძველმა სტრაჟებმა ვერ გამოიჩინეს იმდენი პოლიციური სიმხნე, რამდენიც დღეს ჩვენი მთავრობისათვის არის საჭირო. თუ ეს მართლ ასეა, მით უკეთესი ქართველ მაჰმადიანებისთვის და იმასაც მალე გავიგებთ, თუ როდემდის ისარგებლებს ხიშტზე ჩაჭიდებული მთავრობა ინგუშების შეგნებლობით.

**ფოთიდან** გვწერენ, რომ ეს ქალაქი ნამდვილ უჩინდთა ცენტრათ გადაქცეულა. მოგეხსენებათ, გურიისა და ზოგან იმერეთის სოფლებმა ისევ საკუთარ ძალ-ღონეს მიმართეს ქურდ-ბაცაცების თავიდან მოსაშორებლათ და ეს უკანასკნელნიც გაიბარგნენ სოფლებიდან, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ყველამ ფოთს მოაშურა და აქ გაიკეთეს მყუდრო და, მათი აზრით, სამუდამო ბინა. უმთავრესათ ისინი ნომრებსა და სამიკიტნოებში იყრიან თავს, (რასაკვირველია, ყველაში არა), რადგან ამ დაწესებულებათა პატრონები ხშირათ დახმარებას და მფარველობას უწევენ მათ. საქმე იმაშია, რომ სადმე წანაგლეჯ ორიოდ გროშს ეს რაინდები სამიკიტნოებში ახარჯებენ და მიკიტანი, რასაკვირველია, ხეირს ხედავს მათთან კავშირის დაჭერაში. უჩინდები ძლიერ ხშირათ მუშების სახელით სარგებლობენ და ამით, რასაკვირველია, ჩირქსა სცხებენ სხვის სახელს. ვაფრთხილებთ უჩინდთა ბინის მიმცემლებს ჩაუფიქრდნენ თავიანთ მოქმედებას, თორემ იძულებული ვიქნებით მათი სახელი და გვარი გაზეთის ფურცლებზე გამოვიტანოთ.

**ოზურგეთიდან** გვაცნობებენ, რომ ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებლის გამგე გორგასლიძეს კვლავ განუახლებია თავისი ხულიგნური მოქმედება: ისე დღე არ გავა, რომ რამდენიმე ბავშვი ტუტუცა-უბრალოთ ცემით არ მოსიკვდილოს, ხოლო რაც შეეხება დასძლეგინებას, ეს „ჩვეულებრივ ზომიერებას“ სჭარბობს ბავშვთა მისთაგან. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ინსპექტორი „რუსულათ“ დასძლავს ბავშვებს, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ბავშვები ვერ გაიგებენო. თავის მოწაფეთა ცემა-ტყეპაში ფრიად გავარჯიშებულმა გორგასლიძემ ამ წინაზე უმოწყალოთ სცემა ერთ აქაურ მეწაღეს, რომლის გაკეთებული ფეხსაცმელი არ მოეწონა თურმე. იმედია აღნიშნული ადმინისტრატორი, შეამცირებს მუშტით მოქმედებას და თუ ეს მის ძალღონისათვის მოუხერხებელია, მიბრძანდეს ბოქაულთან სტრაჟნიკების ურიადნიკათ. ახლა ისეთი დროა, რომ ზოგიერთი პროფესორებიც მიდიან პოლიცმეისტრებათ.

პლანებით“ რომანტიზმის სამეფოში გადაფრინდებიან და იქ დაიწყებენ აგიტაციას „სოციალიზაციის განსახორციელებლათ“... რასაკვირველია, „მშრომელ, გლეხკაცობის“ სასარგებლოთ. ასეთია, მკითხველო, ყველა რომანტიკოსების ბედი! მათ არ ირჩიეს ხანგრძლივი, მაგრამ სწორე გზა სოციალიზმისკენ, ფედერალისტებმა მოკლე გზით გადასჭრეს. მაგრამ... ოჰ, საშინელებავ! გზაზე მათ გადაუვალი ხევი დაუხვდათ. მათ ამ ხევში ან უნდა კისერი მოიტეხონ, ან არა და უკან დაბრუნდნენ. პირველს ისინი არ ინდომებენ და ბოლოს ისევ „კლასთა ბრძოლას“ დაურაკუნებენ კარებს, ამ გზით მაინც იქნება მივაღწიოთ სოციალიზმსო. ფედერალისტები კი გვარწმუნებენ, სოციალიზაცია სოფელში დააჩქარებს საერთოთ სოციალიზმის განხორციელებასო. საწყალი „მშრომელი გლეხკაცობა“! ძალიან მალე კი მიიყვანენ მას ფედერალისტები სოციალიზმის კარებთან, თუ რომ იგი სულ ამ ოღრო-ჩოღრო გზით ატარეს! სოციალიზაციის ასეთი „ბრწყინვალე“ მომავალი შედეგია იმ უპრინციპობისა, რომელზედაც აშენებულია ფედერალისტების მთელი აგრარული პროგრამა. ამ პროგრამაში აღიარებულია კოლლექტივიზმი მიწაზე, ხოლო ჯერჯერობით უარყოფილია იგივე პრინციპი საწარმოვო ძალებზე! ასეთი ლოღიკური წინააღმდეგობა თეორიაში წარმოშობს, რასაკვირველია, წინააღმდეგობას თვით ცხოვრებაში. ფედერალისტების თვალში, მიწა რაღაც ჯადოსნურ მანქანათ გადაიქცა. ის უებარი წამალია, რომელსაც შეუძლიან „მშობელ გლეხკაცობის“ იარა განკურნოს. მათ აეიწყდებათ, რომ დღეს მიწას არა აქვს ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინაიდგან ის მხოლოდ წარმოების ერთი იარაღთაგანია. როდესაც ფედერალისტები მიწაზე მსჯელობენ, ისინი დიდ სიუხვეს და „შორს მჭვრეტელობას“ იჩენენ, ხოლო როცა საქმე კაპიტალზე და ტეხნიკაზე მიდგება, რაც ყველაზე უმთავრესია, ისინი სიჩუმეს ირჩევენ. დიახ, გეკითხებით თქვენ, ფედერალისტებო და ეს-ერებო, ვის ხელში იქნება კაპიტალი მიწის სოციალიზაციის დროს? ვინ უპატრონებს მაშინ სასოფლო იარაღებს? და თუ ყველა ამას კერძო პირების ხელში ტოვებთ, რა მოუვა მაშინ თქვენგნივე „განსაზოგადოებრივებულ“ მიწას?...

...„И тайну хранить нерушимо клялися всегда и въ рѣчахъ и писаньи“...

ასე და ამნაირათ. ფედერალისტების აგრარული პროგრამა არ შეესაბამება თანამედროვე ცხოვრების ეკონომიურ მსვლელობას. იგი არ იღებს მხედველობაში იმ მატერიალურ პირობებს, რომლებიც მიაქანებს საზოგადოებას სოციალიზმისკენ. მიწის სოციალიზაცია უტოპიურ ნიადაგზეა აშენებული და მას არ შეუძლიან დააჩქაროს სოციალიზმის განხორციელება. ნამდვილ სოციალიზმს კი, როგორც ვიცით, უტოპიასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

მიწის სოციალიზაცია არც შესაძლებელია და არც საჭირო. განვმარტოთ ეს ორი აზრი. რომ მიწის სოციალიზაციის განხორციელება შეუძლებელია, ეს თითქმის კიდეც გამოირკვა ზემო ნათქვამიდან. ჩვენ ვთქვით, რომ იგი (სოციალიზაცია) არ გამომდინარეობს თანამედროვე ცხოვრების პირობებიდან, მაშასადამე, მისი განხორციელებაც შეუძლებელია. ჩვენ გვსურს დავამტკიცოთ ეხლა, რომ ის არც საჭიროა გლეხკაცობისთვის. სოფლის პროლეტარიატს მაგალითათ, არაფრათ ეპიტნავება „მიწის „სოციალიზაცია“. თქვენ მისცემთ მათ მიწას? კეთილი და პატიოსანი. მაგრამ რა ოხრათ დაარჩენს ის თქვენ მიწას, როდესაც მას არ გააჩნია არავითარი დასამუშავებელი იარაღები? სოფლის პროლეტარიატის მდგომარეობის გაუმჯობესება ამ გვარ პალიატივებით ყოვლად შეუძლებელია. ის მოკლებულია საწარმოვო იარაღებს და განუწყვეტლივ მუშაობს მსხვილ სასოფლო წარმოებაში, მას აინტერესებს მხოლოდ სამუშაო ქირა. თუ გსურთ მისთვის ბედნიერება, ასწიეთ მისი სამუშაო ქირა, გააძლიერეთ მისი კლასიური შეგნება, და თქვენ დაიმსახურებთ დიდ მადლობას. მაგრამ, გვეკითხებიან გაოცებული ფედერალისტები, სოფელში ხომ ყველა პროლეტარი არაა? გეთანხმებით, ბატონებო, რომ დღევანდელი სოფლის უმრავლესობას წვრილი მესაკუთრეები შეადგენენ, ანუ—„წვრილი ბურჟუაზია“. აი ამათთვის კი თქვენი სოციალიზაცია სწორეთ ზედ გამოჭრილია. მართალია, ეს „მესაკუთრეები“ დღეს ისე არიან გაღატაკებულნი და დაბეჩავებულნი, რომ, თქვენი თქმისა არ იყოს, „მათ ბურჟუობისა არა სცხიათ რა“, მაგრამ სოციალიზაცია მათ ხელათ ფეხზე წამოახტუნებს. თქვენ, ფედერალისტები, მათ მიწებს დაუყოფთ, გამოიწერთ მანქანებს და... რაღა გავაგრძელოთ, „ცოდვილ დედამიწაზე“ დაარსებთ ისეთ სამოთხეს, რომელიც თვით მაჰმადს სიზმარშიაც არ მოლანდებია. ერთი სიტყვით, სიკვდილის პირზე მდგომ წვრილ მესაკუთრეებს შთაჰბერავთ „წვრილ ბურჟუაზიას“ სულსა. რა თქმა უნდა, რომ ამ კლასის მატერიალურათ აღორძინებას წვრილი მეურნეობის აყვავებაც თან მოჰყვება და თქვენ თვალ წინ მალე გადაიშლება ნამდვილი „მეშჩანური სოციალიზმი“ თავის ატრიბუტებით. მოდი და ნუ იტყვი ამის შემდეგ, რომ ეს-ერები და ფედერალისტები წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგები არიან: ბ-ნ შალვას სიტყვით კი ს.-დემოკრატიული მოძღვრება „წვრილ (?) არა კაპიტალისტურ წარმოებას ამრავლებს (?!) და სოფლის მეურნეობას ისეთ გარემოებაში აგდებს, რომ კაპიტალისტური მსხვილი მეურნეობა იქ ფეხს ვერ მოიკიდებს. გამოდის, რომ ს. დემოკრატების პროგრამა, მათის თვალთა ხედვის წერტილის მიხედვით, სოციალიზმის განხორციელებას ეწინააღმდეგება“. არა, ბ-ნო შალვა, აქედან გამოდის მხოლოდ ის, რომ რომანტიკოსების მიერ შეთხზული ს.-დემოკრატიული პროგრამა სრულიად ეწინააღმდეგება იმ ს. დემოკრატიულ პროგრამას, რომელსაც ცხოვრების სინამდვილე მოითხოვს. იმის თქმა, რომ ს. დემოკრატიული აგრარული პროგრამა წვრილ წარმოებას ამრავლებს, ისეთივე ცილისწამებაა, როგორც ის აზრი, ვითომც მიწის სოციალიზაცია მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებას ხელს უწყობდეს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ სოციალიზაცია სასარგებლოა მხოლოდ გლეხკაცობის ერთი ნაწილისთვის, რომელსაც ეკუთვნიან წვრილი მესაკუთრეები. ფედერალისტებს არა აქვთ ამიტომ არავითარი უფლება „მთელი“ მშრომელი გლეხკაცობის სახელით გამოილაშქრონ. ს. დემოკრატებს, მოგეხსენებათ, ფედერალისტები „დემაგოგობას“ სწამებენ *). როგორც სჩანს ისინი არხი-დემაგოგები ყოფილან. მაშ გლეხი არა შრომობს? მაშ წვრილი მესაკუთრე ადამიანი არ ყოფილა? თქვენ, ს. დემოკრატები, არა აფასებთ მის შრომას!.. თქვენ გლეხი არათ მიგაჩნიათ... გაჰკივიან ერთხმათ „შრომის“ ფლეტონისტები. ავიწყდებათ ბ-ნ ფედერალისტებს, რომ შრომაც არის და შრომაც. „წარმოების განვითარების თვალთა ხედვის ისრით, ამბობს გ. პლეხანოვი, პროლეტარი სულ სხვაა, ვიდრე წვრილი მწარმოებელი. მართალია ორივე შრომობს, მაგრამ ერთი შრომობს ხაზეინისთვის, მეორე კი თავისთვის, ამათშია მათი უმთავრესი განსხვავება... წვრილი მწარმოებლის უკმაყოფილება, განაგრძობს გ. პლეხანოვი, გაჟღენთილია კონსერვატიული და რეაქციონური სულით. იგი არის მიმართული არა კერძო საკუთრების წინააღმდეგ, არამედ—წინააღმდეგ ყველა იმისა, რაც უშლის მას სარგებლით მოიხმაროს ეს საკუთრება. მისი სურვილია შეაჩეროს, ან და გადააბრუნოს უკუღმა ისტორიის ჩარხი“. *) რასაკვირველია, ეს სურვილი სურვილათვე რჩება, თითო-ოროლა ბედნიერი წვრილი მესაკუთრე აღწევს თავის საწადელს ე. ი. იძენს მეტს საკუთრებას და გადადის ბურჟუაზიის ბანაკში, უმრავლესობა კი, როგორც ჩვენ ვთქვით მეოთხე წერილში, პროლეტარიატის რაზმში ეწერება. სოციალისტური პრესის მოვალეობაა გაუთვალისწინოს წვრილ მესაკუთრეს ასეთი უნუგეშო მომავალი და გაავითაროს მასში პროლეტარის და არა მესაკუთრის ფსიხოლოგია.

მაგრამ არ დაიჯერო, მკითხველო, ვითომც წვრილი მესაკუთრის მომავალი მართლა ასე უნუგეშო იყოს. თუ ეს-ერებს დაეკითხები, მისთვის „გაპროლეტარება და ქვაბში გადახარშვა“ სრულიადაც არ არის საჭირო. ეს-ერებს და ფედერალისტებს მის სანუგეშებლათ უკეთესი წამალი აქვთ შენახული. ეს გახლავთ კოოპერაცია და თემი. ამაზე მოვილაპარაკებთ შემდეგ წერილში.

**დ. ონიაშვილი.**

*) იხ. „შრომა“ № 49.

*) იხ. „Пролетаріатъ и крестьянство“ Г. Плеханова, გვ. 10.

**ბაშის რაიონი.** გადასახადების ამკრეფი რაზმი ჩვენშიაც ენერგიულათ მოქმედობს. მოკლულ ბოქაულ ყუბანეიშვილის ფასთან ერთათ თხოულობენ ძველს და ახალ გადასახადებს რამაც ზოგან კომლზე 30—40 მანეთი შეადგინა. ამდენი ფულის გადახდა ჩვენში ბევრს არ შეუძლია ოჯახის აუოხრებლათ. ამიტომ პირველათ ხალხმა უარი განაცხადა და დროება ითხოვა. მაგრამ, მოგეხსენებათ, მთავრობამ ხათრი არ იცის და გაერია სოფლებს ასაწიოკებლათ. ვისაც ფული არ ქონდა, საოჯახო ნივთები დასტაცეს და ოჯახის მარჩენელი საქონელი წაართვეს. გადასახადებთან ერთათ „აგიტატორების“ მოკრეფაც განეზრახათ, მაგრამ ვერსად ვერ აღმოაჩინეს. გროშების მოკრეფით გატაცებული მოხელეები სრულიად დაბრმავებული არიან და ვერ ამჩნევენ, რომ ვერავითარი აგიტატორი თავისი მჭერმეტყველებით ვერ დაუმტკიცებს ხალხს მთავრობის სივერაგეს ნათლათ, როგორც ერთი რომელიმე ბოქაულის ან სტრაჟნიკის მოქმედება, როდესაც ამ უკანასკნელს საწყალი კაცის სახლიდან საბანი, ლები, ბალიში, ქვაბი და სხვა ასეთი ნივთები გამოაქვს საწინდრათ. ან როცა ერთათ ერთი ძროხა გამოჰყავთ და უკლავენ.

ბ-ნი კოწია ცოტაიაც განაგრძობს თავის „ბეჯითი მოღვაწეობას“. დაძრწის სოფლიდან სოფლათ და განურჩევლათ სჯის მრუდსა და მართალს.

**სად. ბჟიქაბულიდან** იწერებიან, რომ ძარცვა-გლეჯას იქაც გაუდგამს ფესვები. ღამე არ გაივლის, რომ ვაგონი არ გაძარცვონ. მძარცველები იმას გაიძახიან, რომ „კაზნა“ მდიდარია, მაგრამ ამ ბოლო დროს აღარც „კაზნით“ კმაყოფილდებიან და მუშების ბინებსაც უკეთებენ ხოლმე ვიზიტებს. ასეთი მაგალითები ბევრია. სხვათა შორის სლესრის თანაშემწე ილიკო აბაშიძეს მოპარეს ოთახიდან ფული და ნივთები 100 მანეთისა. 13 ამ თვეს მოსამსახურე კონდუქტორმა გასტეხა ვაგონი და გამოიტანა გამზადებული მასალა წაღებისა და მიგიდ-მოგიდა. დამნაშავე კონდუქტორი პერევუდოვი დაიჭირეს და კიდევაც გამოტეხა დანაშაულში. ნივთების ნაწილი უკვე აღმოაჩინეს.

მემანქანე ტეხნიკის ამხანაგი ვასო ქურდოვანიძე, რომელიც დეკემბრის გაფიცვების გამო დატუსაღებული იყო, ხელახლა მიიღეს ძველ ადგილზე.

# პროვინცია.

**ჩოხატაური** (გურია). 8 ენკენისთვეს გვეწვია რაზმი, ქვეითი და ცხენოსანი ჯარისა. დამით აქ დაბინავეს და ვახშმათ დაუკლეს ერთი გლეხის ცალი ხარი. ღვინოს სადაც მოასწრეს ქვევრებში წაიღეს. მეორე დღეს რაზმი სურებისაკენ წავიდა გადასახადების ასაკრებათ. 13 ენკენისთვეს ნაწილი რაზმისა ზემოხეთში წავიდა იმავე მიზნით, დანარჩენი ჩოხატაურში დაბრუნდა, მგელაძის წინამძღოლობით. ამ ჯალათმა ბაზარში შემოსვლისთანავე გაამათრახა ბოქაულის მწერალი ჩხიკვაძე. ცემას მხოლოდ მაშინ გაანება თავი, როცა სტრაჟნიკისაგან გაიგო, რომ ცემის საგანი ბოქაულის მწერალი იყო.

აქ, ბაზარში, ხშირათ მოდის ერთი ჭკუაზე შეშლილი სიხარულიძე. ამ დროსაც აქ იყო თურმე და ზემოაწერილი სცენა რომ დაინახა, მიგარდა მგელაძეს და შესძახა: „აიხადე თოფი, ჩვენ კაცებს აქ არ გხედავთ“ და ის იყო ქვა უნდა ერტყა თავში[1]), მაგრამ ეცნენ და გააჩერეს[2]). ამით გაბრაზებულმა მგელაძემ დაატრიალა მათრახი წელმოკაულმა და ერთი აურ-ზაური აუტეხა. დაიჭირა აგრეთვე მელიტონ ალ. ცინცაძე, ხელები შეუკრა და ისე სცემა მათრახით. ნახევარი საათის შემდეგ დაჭერილი ოზურგეთისაკენ გაამგზავრეს. სოფ. ცხეს დაიჭირეს ქორიძე, რომელსაც რამდენიმე პატრონა აღმოაჩნდა. სახლი გაძარცვეს და ტუსაღი ოზურგეთში გაისტუმრეს. 15 სექტ. ზემოხეთშა წასული რაზმი ჩოხატაურში ჩამოვიდა. გზაზე ბევრი ბატები დაეჭირათ და ჩამოიყვანეს. დაპატიმრებული ჩამოიყვანეს აგრეთვე 12 კაცი, რომლებიც ოზურგეთისაკენ გაგზავნეს. ზემოხეთში რაზმის უფროსს გამოუცხადებია: „თქვენ თავის ხელმწიფეს უნდა გადაგცეთო“. ამით აღბათ ხალხის შეშინება უნდოდა და ის კი არ იცის, რომ დღევანდელ ჩვენს მთავრობას კაცის შეშინებლებიც კი სჯობიან.

მთავრობამ აქაც დაითხოვა ძველი (თათრები) სტრაჟნიკები და მათ მაგიერ ინგუშებს აყენებს. 10 ენკ. ჩოხატაურში ვილაც შეიარაღებული კაცები ჩამოსულან. ეს შეუნიშნავს სალდათს და იარაღის აყრა მოუნდომებია. მაგრამ უცნობს ისეთი სილა გაურტყამს, რომ სალდათი—პოლიციელი წაქცეულა. გაბრაზებული მისი ამხანაგები გასევიან სოფელს ძველებურათ, უცემიათ ვისთვისაც მოუსწრიათ. თანაც ჩვეულებისამებრ დაუტაცნიათ თუ ძარღვსი რამ ნახეს და დაბრუნებულან გაჯავრებულნი.

მერცხალი.

---

[1]) ეს გადარეულობის საბუთათ არ ჩაითვლება.
[2]) ეს ნამდვილი გადარეულობაა. ეშმაკი.

## მუშათა შორის.

**სოფლის მებაღეების მოთხოვნები.** ამ წინაზე შევიკრიბეთ სოფ. კასპის, საკორინთლოს, ზ.დის, დამისყანის, თეზის, ქსოვრისის და ოძისას მებაღეები ჩვენს ჭარ-გარამზე მოსალაპარაკებლათ. დიდი ხნის კამათის შემდეგ შევიმუშავეთ და წარვუდგინეთ აღნიშნულ სოფლის მემამულეებს შემდეგი ეკონომიური მოთხოვნები: 1) რთველის დროს ხუთ კოკა ტკბილში სამი მიეცეს მებაღეს, ორი მემამულეს; 2) ვაზის წამლობის დროს მაშინა მემამულეებსა იყოს, ხოლო მუშა მებაღისა; 3) მოისპოს მებაღისაგან ზურგით ნობათის მიზიდვა; თვეში ერთხელ თვითონ მემამულემ წაიღოს თავის ხელით; 4) პირველათ ბაღის ღობე მემამულემ შემოავლოს ხოლო შემდეგ მისი შეკეთ-შესწორება მებაღის მოვალეობას შეადგენს; 5) ბაღის სასუქი და სახლის რემონტი მემამულის საქმეა; 6) თუ მემამულეს მოესურვა მებაღის დათხოვა, ან მებაღეს მოუნდა წასვლა, ერთი მეორეს ერთი თვით ადრე უნდა აცნობონ; 7) თუ მემამულეს არ უნდა მებაღეს სასყიდლათ მოსავლის ნაწილი მისცეს, მაშინ თვიური ჯამაგირი 40 მანეთით უნდა განისაზღვროს და თანაც ხარჯი მემამულისა იყოს; 8) უმიზეზოთ და თავის ნებით მებაღის დათხოვა მემამულეს არ შეუძლია. თავის განზრახვა მან უნდა აცნობოს მებაღეებს, რომლებიც გამოიძიებენ საქმეს და სამართლიანათ გადასწყვეტენ; 9) თუ მებაღემ მამულს ამა თუ იმ მიზეზით თავი გაანება, მემამულე ვალდებულია მისი იარაღები შეისყიდოს წესიერ ფასებში; 10) მებაღის მოჯამაგირეს უნდა მიეცეს თვიურათ არა ნაკლებ 15 მანეთისა; 11) ჯონჯოლი, თივა და მიწის მოსავალი სრულიად მებაღის საკუთრებას შეადგენს, ხოლო ხილიდან მემამულეს ეძლევა მოსავლის ნახევარი. მებაღეს ნება აქვს რაც უნდა ის დათესოს ბაღში.

---

**ალექსანდრე გაბუნია.**

(ნეკროლოგი).

ჯერ კიდევ ამხანაგ ძველაიას გვამი არ გაცივებულა შვეიცარიის ქალაქ ლოზანის სასაფლაოზე, რომ იმავე შვეიცარიის მეორე ქალაქ—დავოსში გარდაიცვალა და იქავე მიაბარეს მიწას ამხანაგი ალ. გაბუნია. განსვენებული სწავლობდა ვენის პოლიტეხნიკუმში. ღარიბი დედმამის შვილი, ის იზრდებოდა ჭიათურის ნახშირის საზოგადოების ხარჯზე. ხოლო ეს საზოგადოება რადაცა მიზეზით არ უგზავნიდა დროზე დაპირებულ ფულს. ასე რომ, ამ ბოლო დროს მთელი ოთხი თვე დაუგვიანდა ფულის მიღება, რამაც ჯერ იქვე ვენაში ჩააგდო განსვენებული ცუდ პირობებში და საქიმოთო წასვლაც დაუგვიანდა. ხოლო როცა ამხანაგება დაეხმარენ და გაგზავნეს ჯერ იმლში და შემდეგ დავოსში, უკვე გვიან იყო და მორეულ სენს—ჭლექს ვეღარა უშველა ვერც შვეიცარიის ჰავამ და ვერც პროფესორ-სანატორიუმებმა.

განსვენებული ალექსანდრე იყო სულით და გულით ს.-დემოკრატი და ნატრობდა იმ დროს, როცა ისიც გამოვიდოდა ცხოვრებაში და ამხანაგებთან ერთათ დაიწყებდა მუშაობას. მაგრამ დახუთ ბედს, შეუბრალებელმა სიკვდილმა არ დაინდო კეთილი აზრით, ხალხის სიყვარულით აღჭურვილი ჭაბუკი და უდროოთ გამოასალმა წუთისოფელს. საუკუნოთ იყოს ხსენება მისი.

დოლიძე.

# რუსეთის ამბები

**აგრარული მოძრაობა.** მინსკის გუბერნიის ს. დიადკაშა გლეხებს თავის ნებით შეურეკიათ საქონელი მემამულის საბალახოში. მამულის მოურავს საქონლის გარეკის დროს ერთი გლეხთაგანი დაუჭრია. რამდენიმე ხნის შემდეგ მემამულეს გამოურკვეველ მიზეზის გამო ბოსელი და ბეღელი დასწვია. სარატოვის გუბერნიის პეტროვის მაზრაში დაუწვავთ საერობო გამგეობის თავმჯდომარის შენობები. უწესოება ყოფილა კოსტრომის გუბერნიაშიაც. აქ რამდენიმე მაზრაში აუკლიათ და დაუწვავთ მემამულეების კარ-მიდამო. ვიატკის გუბერნიის მალმიჟის მაზრაშიც დიდი უწესოებებია. დაუტუსაღებიათ ორას სამოც კაცამდე. აგრარული მოძრაობა ყოფილა გროდნოს და ორიოლის გუბერნიებში და აგრეთვე სმოლენსკისაში. ამ უკანასკნელ გუბერნიის ბევრ მაზრებში ქვა ქვაზე აღარ დაუტოვებიათ გლეხებს. როგორც გაზეთი „ნოვოე ვრემია“ ამბობს, ახალგაზდებს სულ მემამულეები გაუმტყუნებიათ ყველაფერში, დუმის გარეკაც მათთვის დაუბრალებიათ; ამას ძლიერ აუმხედრებია გლეხები და ისე ღამე არ გაივლის, რომ რამდენიმე მემამულეს არ გადაუბუგონ სახლ-კარი და სარჩო. დამწველების დაჭერას ვერ ახერხებენ.

**გადასახადების ბოიკოტი.** სმოლენსკის მაზრაში სამ სოფელს: ნაგოტს, დამაშევშჩინას და ციბულნიკს უარი უთქვამს გადასახადის მიცემაზე. სოფლის მამასახლისმა და მწერალმა მ ნაური პარუტჩვა აუწერეს გლეხებს. მოწმეები სხვა სოფლებიდან მოუყვანიათ, რადგან დასახელებულ სოფლებში მოწმეთ ყოფნა არავის არ უსურვებია. უმიმის მაზრაშიც ძალით იღებენ გადასახადებს. გლეხების შინ არ ყოფნის დროს მამასახლისი დღის თურმე სტრაჟნიკებით და რასაც მოასწრებს, მიაქვს გადასახადში: სამოვრები, ბალიშები, საბნები, გუთანი, ვედრო და სხვ. და ერთ ადაგას აგროვებენ გასაყიდათ.

**როგორ სრულდება 17 ოქტომბრის მანიფესტი? ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება.** ასტრახანის გუბერნატორს ცენზურა აღუდგენია. ცენზორები იქნებიან ვიცე-გუბერნატორი და სამი ჩინოვნიკი. გაზეთებს კონფისკაცია უყვეს. ოდესის გენერალ-გუბერნატორმა აკრძალა გაზეთ „ვეჩე“-ს ნომრობით გაყიდვა. „კიევსკაია გაზეტას“ რედაქტორი 1000 მან. დააჯარიმა გენ. გუბერნატორმა.

**პიროვნების ხელუხლებლობა.** ამ წლის განმავლობაში ტობოლის მაზრაში 428 კაცი ყოფილა გადასახლებული. ამათგან მხოლოდ 4 ნახევარ პროცენტს ქონია გამოცხადებული გადასახლების მიზეზი, ე. ი. ასიდან 95 კაცს არ სცოდნია რისთვის გადაასახლეს. ბალტიის მხარეში დამსჯელ რაზმის უფროსმა „კორჩმის“ მეპატრონეს დემურებს როზგი დაარტყა იმისთვის, რომ „კორჩმის“ პატრონმა ვიღაც „არა სიამედო“ პირს ღამე გაათევია. ძველ ცებელდაში გამოუცხადებია დამსჯელ რაზმის კომანდირს: თუ „კორჩმას“ ძალით დაახურინებთ, სამი ვერსტის მანძილზე მცხოვრებთ ყველას დავხვრეტავო. პოლიციის დეპარტამენტს უბრძანებია ხარკოვის „ოხრანის“ უფროსისათვის: „დაატუსაღეთ ყოფილი დეპუტატი მიხაილიჩენკო, რომელიც მანდ, ხარკოვში, უნდა ცხოვრობდესო“.

**კავშირების თავისუფლება.** ადესაში გახშირებულა პროფესიონალურ კავშირების წევრების დატუსაღება. დაუტუსაღებიათ კავშირების გამგეობის წევრები.

**როგორ ავრცელებენ ქრისტიანობას მისიონერები (მქადაგებელი მღვდლები).** ალტაის მხარეში მართლმადიდებლობის მისია დაარსებული. მისიონერების მიზანია კალმიკებს მართლმადიდებელი ქრისტიანობა მიაღებინონ. მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს მოწმის ჩვენებიდან, რომელიც სასამართლოში იქნა მიცემული. როცა რამდენიმე კალმიკს მოაქრისტიანებენ მღვდლები, შემდეგ თურმე ასე იქცევიან: აღმართავენ ხის დიდ ჯვარს და უცხადებენ ახალ მონათლულებს: ამ ჯვარს ხუთი ვერსის მანძილზე უნდა მოშორდეთ და ისე შეგიძლიათ ხვთის მსახურება შეასრულოთო. კალმიკები მიდიან და მათ ადგას გადმოსახლებულები იჭერენ. მეორე მაგალითი. ვინმე შაბურაკოვისთვის მამული წაურთმევიათ, მაგრამ სასამართლოში მოუგია. მაშინ მღვდლები ცდილან მის გადასახლებას, როგორც ქრისტიანობის მტრის. ტომსკის ეპისკოპოსს მაკარის ასეთი რეზოლუცია გამოუტანია: „მიწის შესახებ სადაო კითხვის გადაწყვეტა შაბურაკოვის სასარგებლოთ აძლიერებს მართლმადიდებლობას, როგორც გაბატონებულ სარწმუნოებას“-ო.

**აგიტატორი—დვორნიკები.** პეტერბურგიდან რამდენიმე დვორნიკს გზავნიან ადმინისტრატიულ წესით. ორ იმათგანს მხურვალე მონაწილეობა მიუღია არჩევნებში და კადეტების პარტიის სასარგებლოთ აგიტაცია ეწეოდენ, თურმე. მათი გავლენით ბევრ მუშას (დვორნიკებს) მიუღია არჩევნებში მონაწილეობა. ერთი იმათგანი აგვისტოში ყოფილა დაჭერილი ვიბორგის მანიფესტის გავრცელებისათვის.

**ოქტომბრისტების სიეზდი.** ქ. ყაზანში 10 სექტემბერს 17 ოქტომბრის პარტიას კრება გაუმართავს. გუბერნატორს თავის ნებით ვერ დაურთავს ნება, ასე რომ მინისტრისთვის მიუმართავთ. მინისტრს შემდეგ პირობებით დაურთავს ნება: 1. კრება უნდა იყოს დახურული. 2. მცირერიცხოვანი და 3) 3—5 დღეზე მეტს არ უნდა გაგრძელდესო. ერთი შეხედვით ეს პარტიაც აკრძალულ პარტიებს დაემზგავსა, რაც შეუგნებელ ხალხის თვალში მის მნიშვნელობას ამაღლებს. ამას გარდა, რა კი კრება დახურულია, ოქტომბრისტების ნამდვილი სახის დანახვა შეუძლებელია. აი, მაგალითად, რათ ღირს მარტო იმის გაგება, რომ ამ პარტიას კავშირი აქვს უწმიდეს სინოდთან და სამხედრო უწყებასთან და მოწოდებებს ერთად უშვებენ. მთავრობის მეოხებით ყველაფერი ეს დაწყრილებით გაუგებელი რჩება.

**„რუსთა კავშირი“ და მთავრობა.** „რუსთა კავშირი“ აშკარათ მოქმედებს. კავშირს ყავს ეგრეთ წოდებული „თეთრი გვარდია“, რომელიც აშკარათ ნადირობს მოქალაქეებზე. „თეთრი გვარდია“ სიკვდილს პირდება ოდესის ქალაქის თავს, რომელიც ებრაელ გიმნაზიელს გამოექომაგა. მოითხოვენ, რომ მან საჯაროთ მოიხადოს ბოდიში. კავშირის მხეცობით შეწუხებული ურიებ მასულან გენერალ კაულბარსთან და მფარველობა უთხოვნიათ. გენერალს უთქვამს: მე ყოველგვარ საშუალებას ვიხმარ კავშირს ხელი შევუწყოვო, მალე კავშირის განყოფილებები გაიხსნებაო. პოგრომი არ მოხდება, მაგრამ თუ ვინმემ ხელი ახლო კავშირის რომელიმე წევრს, მთელ ქალაქს სისხლით მოვრწყავო. ამ ამაკს ძალიან შეუშინებია მცხოვრებლები, განსაკუთრებით ებრაელები. კავშირის მხურვალე მოქმედების პოლიციაც შეუფაქრიანებია: განოვნაცნასთვის უთხოვიათ პეტერბურგში—ზომები მიიღეთ, თორემ ასე დიდხანს არ შეიძლება საქმის განგრძობაო. თვით „კავშირშიც“ ხდება რასკოლი. ბევრ წევრს არ მოსწონს რევოლიუციასთან აქტიური ბრძოლა.

## წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

წასულ კვირას, ესეიგი „ჩვენი ცხოვრების“ № 12 შიდ დასტამბული იყო ბატ. ბაგრატ თოროზოვის წერილი, რომელშიაც ის იწვევს სამედიატორო სამართალშიდ ვიღაც გიგო ბუჩიძეს. მე ეხლა გავიგე კერძო პირიდგან, რომ ის წერილი მე შემეხება და ბატ. ბაგრატ თოროზოვი მე მიწვევს სამედიატორო სამართალში. მე თანახმა ვარ სამედიატორო სამართლისა, მხოლოდ ვთხოვ ბ. ბაგრატ თოროზოვს, თუ მართლა ჩემზე აქვს საჩივარი, შემატყობინოს გაზეთის საშუალებით ნამდვილი ჩემი სახელი და გვარით,*) მედიატორეები მზათა მყავს.

გრიგოლ ბუაჩიძე.

*) თოროზოვს თავის წერილში გვარი და სახელი ქონდა. ჩვენ გაზეთში ბუაჩიძის მაგიერ ბუჩიძე დაიბეჭდა კორექტურულ შეცთომის გამო.

რედ.

---

გთხოვთ ამ ჩემ პატარა წერილს ადგილი დაუთმოთ „გრიგალის“ მახლობელ ნომერში. ერთი ბაქოელი ამხ. „ჩვენი ცხოვრების“ ერთ ერთ ნომერში წინადადებას იძლეოდა, თუ ვინმეს შეუკრებიათ ფული კაზაკებისაგან დაზარალებულ გურულების სასარგებლოთ, გამოაცხადოს ვის გადასცა და რამდენიო. ამიტომ საჭიროთ მიმაჩნია შემომწირველ ამხანაგების საყურადღებოთ განვაცხადო შემდეგი: მე სადგურ სანაინში იქაურ მუშებს შორის შევკრიბე სამოცდა ცამეტი მანეთი და ოთხმოცდაათი კაპეიკი (73 მ. 90 კ.), რომელიც შეკრების თანავე გადავეცი გაზეთ „სხივის“ რედაქციას (კვიტანცია № 35, 7 დ. 1905 წ.). გადავეცი აგრეთვე შემომწირველთა სიაც. რედაქცია დამპირდა, შემომწირველთა სიას გამოვაქვეყნებო, მაგრამ მას არაფერი გამოუქვეყნებია, ალბათ იმიტომ, რომ იმ ახლო ხანში „სხივის“ რედაქცია დაპეჭდეს და ბევრი ხელნაწერი წაიღეს. კვიტანციის საჭიროებისამებრ წარმოვადგენ.

ამხანაგი მ. გვიმბარაულელი.

# დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

19 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატ“-შა დაიბეჭდა წერილი, რომლიდანაც ჩანს თითქო ებრაელთა საკითხის შესახებ კანონ-პროექტი შეუდგენიათ, რომელსაც საფუძვლათ ის აზრი დაედვა, რომ „ებრაელები რევოლიუციის მთავარი ხელმძღვანელები არიან“. ეს წერილი ყოველივე სიმართლეს მოკლებულია.

**ასხაბადი.** სამხედრო საოლქო სასამართლოს სხდომის დროს რევოლვერით მოკლეს პროკურორი გენერალი რენკევიჩი. მკვლელმა ტეხნიკმა მთაროზოვმა დაჭერის დროს წინააღმდეგობა გაუწია და სასიკვდილოთ დასჭრეს.

**კრონშტადტი.** ციხის კომენდანტმა სამართალში მისცა ჯავშნიან გემის „ალექსანდრე მეორეს“ 295 მატროსი, რადგან მათ მატროსების აჯანყების დროს 20 ივლისს კაპიტანის ბრძანება არ აასრულეს. საქმის გარჩევა მომავალ კვირაში დაიწყება.

**პეტერბურგი.** შლისელბურგის სატუსაღოში სიკვდილით დასაჯეს გენერალ კოზლოვის მკვლელი ვასილიევი.

**მოსკოვი** გრადონაჩალნიკმა წერილით მიმართა უნივერსიტეტის რექტორს, რომ უნივერსიტეტში კრებები ხდება, რომლებზედაც რევოლიუციონერები ესწრებიანო. ის არამც და არამც ნებას არ მისცემს, რომ უნივერსიტეტში შესდგეს რევოლიუციონური ჯგუფები და ყოველივე სასტიკ ზომებს მიიღებს მათ წინააღმდეგ. ის საჭიროთ ცნობს მიმართოს სტუდენტებს შემდეგი განცხადებით: რადგან 18 და 19 სექტემბერს მოხდა კრებები ს.-რევოლიუციონერთა და მათ ოპოზიციურ ფრაქციებთან დასწრებით და მუშები და სხვა სასწავლებლის მოსწავლეები დაესწრენ, გრადონაჩალნიკი აცხადებს, რომ ასეთი კრებები, როგორც უკანონო, დაუყოვნებლივ დახურულ იქნებაო. უკანასკნელი კრება მშვიდობიანი იყო, სტუდენტთა უმრავლესობამ ის აზრი გამოთქვა რომ უნივერსიტეტის შესანახათ საჭიროა კონფლიქტებს ვერიდოთ და დათმობის გზას დავადგეთო. ზოგიერთ ორატორების აზრი, ჩაერიონ რევოლიუციონურ ბრძოლაშიო უმრავლესობამ არ მოიწონა და გაკიცხა.

**ოდესა.** დაიწვა ძველი თეატრის შენობა ზარალი ასი ათას მანეთამდეა. ცეცხლის ჩაქრობის დროს მოკვდა 4 ცეცხლის მქრობელი, მათ შორის ორი სტუდენტი.

20 სექტემბერი.

**ჰელსინგფორსი.** დაიწყო იმ ფინელების საქმის გარჩევა, რომლებმაც სვეაბორგის აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს დამნაშავეებმა განაცხადეს, რომ, როცა ისინი წითელ გვარდიის უფროსების ბრძანებით გემ „ბომბა“-ზე დასხდნენ, მათ არ იცოდნენ საით მიჰყავდათ. აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა არ მიუღიათ. ბევრ მათგანს სროლა არც კი შეეძლოთ და სარდაფებში მოეფარნენ ტყვიებს. შემდეგი სხდომა სასამართლოს 23 სექტემბრისთვის დანიშნა.

21 სექტემბერი.

**კიეცი.** სამხედრო-საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით დახვრიტეს სამი მძარცველი.

**სტოკჰოლმი.** მთავრობამ განკარგულება მოახდინა შვეციიდან გაიძევოს ფინლიანდიელები: ნიმანი, ლუსტი და ოთხი კიდევ სხვა, როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირები.

**ხერსონი.** პეტერბურგის საერთაშორისო ბანკის კახოვკის განყოფილების შეიდ გამძარცველს სამხედრო საველე სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა განაჩენი უკვე სისრულეში მოიყვანეს. დანარჩენ ორს 20 წლის კატორღა გადაუწყვიტეს.

**სოხუმი** როცა სადამოს სოხუმიდან ბათუმისკენ რუსეთის საზოგადოების გემი „გიორგი“ წავიდა 25-მა შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა ხელში ძალა დაატანა კაპიტანს გემი გაეჩერებია. კოდარის ახლო წაიღეს პოსტიდან 16000 მანეთი. შემდეგ სროლა ატეხეს, შერეკეს მესამე კლასის მგზავრები და კამანდა მესამე კლასის ოთახში, შესავალ-გასავალი დაიჭირეს. პირველი კლასის მგზავრებს უნდოდათ წინააღმდეგობა გაეწიათ, და რამდენჯერმე ესროლეს, მაგრამ ბოროტმოქმედებმა დაემუქრნენ კაპიტანის ორ თანაშემწეს და ოთხ მატროსს, რომლებიც ატამანათ უყვდათ, დაგხოცავთო. შემდეგ ბოროტმოქმედებმა მოითხოვეს ნავი, ჩასხდნენ შიგ და დაჭერილ მატროსების შემწეობით გავიდნენ ნაპირზე.

**პეტერბურგი** ნაშუადღევს ბირჟის ახლო სახელმწიფო დაწესებულების ხაზინადარზე თავდასხმას აპირებდენ. ბრბოს მეთაური წინდაწინ დაიჭირეს. დანარჩენების დასაჭერათ ბირჟაზე გაგზავნეს პოლიციელები. იქვე ბაღში დაიჭირეს ხუთი საეჭვო ახალგაზდა, რომლებსაც გაჩხრეკის დროს რევოლვერები აღმოაჩნდათ, მექქსე გაქცა, მაგრამ გოროდოვოიმ თოფით მოკლა.

**მიტავა.** დახვრიტეს ლატიშები ბარხმანი და ფრეიმანი.

**პეტერბურგი.** (ოფიც.) 20 სექტემბერს მინისტრთა საბჭომ თავის სხდომაზე განიხილა შემდეგი საკითხები: 1) იუსტიციის სამინისტროს წინადადება სახელმწიფო დანაშაულობათა საქმის განხილვის წესრიგის შეცვლა. ირკუტსკის, ტომსკის და ტაშკენტის სასამართლო ოლქებში აღნიშნულ ადგილებში სახელმწიფო დანაშაულობათა საქმეები საოლქო სასამართლოებს უნდა დაუქვემდებარონ. საოლქო სასამართლოში განხილვის შემდეგ საქმის განსაჩივრება შეიძლება სასამართლო პალატაში. ეს ზომები მიღებულ იქნება იმიტომ, რომ სამოსამართლო პალატა დროზე ვერ ასწრობს ასეთ საქმეების განხილვას. 2) მიწების მომწესრიგებელ კომისიის საკითხი და სხვა.

**პეტერბურგი.** 20 სექტემბერს მოხდა 17 ოქტომბრის კავშირის პეტერბურგის და მოსკოვის ცენტრალურ კომიტეტის კრება. კრება გახსნა გუჩკოვმა, უარი სთქვა ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარეობაზე და კრება დატოვა.

— რამდენიმე კაცი შევიდა ქიმიკო-ტეხნიკურ სასწავლებელში, დაიჭირეს ყველა შესავალ-გასავლის კარები, ოთხი მათგანი შევიდა დირექტორ იურიევთან და ყელში ხელი წაუჭირეს, ფულები მოგვეციო, დირექტორმა მოასწრო პოლიციის ხიდამდე გაქცევა. მძარცველებმა ძალა დაატანეს საქმის მწარმოებელ იურიევის კაბინეტში შეეყვანა, მაგრამ პოლიციის მიახლოება იგრძნეს და გაიქცნენ.—სახლის № 3-ში აღმოაჩინეს ასაფეთქებელ ნივთიერებათა ლაბორატორია. იპოვეს 13 გატენილი ყუმბარა. დაიჭირეს ხუთი კაცი. გზათა ინსტიტუტის სამჯერ გაჩხრეკის შემდეგ აღმოაჩინეს 16 ყუმბარა, სხვა და სხვა ასაფეთქებელი ნივთიერებანი. დაიჭირეს სტუდენტი ფინსკი, და ინსტიტუტის სტოროჟის შვილი ბოგდანოვი.

რედაქტორ-გამომცემელი ერ. ჩანტლაძე.


## განცხადებანი

**კბილების**

**ხელოვნურათ დაწმენდა, პლომბი, წამლობა და სხვ.**

გრ. მატ. იოხველი. მიხ. 90, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ.

აშორებს ცუდ სუნს.—„ოქროს პლომბები.

(10—6)


ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ტფილისი, მიხეილის ქუჩა.